• დღეიდან მაღალმთიან სოფლებში პენსია 216 ლარი იქნება! ③

• გაორმაგებული ვიზიტორები და სვანეთით დაინტერესებული ინდოელი ინვესტორები ⑧

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაცანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი. 2016 წ. №162 (8054), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ჩემი შვილის ცხედრის გარეშე ნაპირიდან ცოცხალი არ წავალ...

②

„იკვეთება დანაშაულის ნიშნები“...

ანონსი

2 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველამ უნდა წაიკითხოთ!

ყოველ ხუთშაბათს, 17 საათზე და ყოველ ორშაბათს, 19 საათზე ტელევიზია „ქართული ტვ“ -ს მხარდაჭერით ასევე ყოველ პარასკევს „საქართველოს რესპუბლიკაში“

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი: ჩვენი პოზიცია ურყევია: ქართული, მხოლოდ ქართული გზა.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი აგრძელებს მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეული იმ ადამიანთა სიების გამოქვეყნებას, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში ერთობ კარგი განწყობაა. გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკასთან“** შეთანხმებით, ყოველ პარასკევს ქვეყნდება ასეთ ადამიანთა სიები. **12 და 19 აგვისტოს ნომრებში** გამოქვეყნებულმა მასალებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ეს პროცესი გაგრძელდა **26 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერშიც.**

ამ პროცესს მხარდაჭერა გამოუცხადა **„ქართულმა ტვ“-მ,** რომლის ეთერშიც ყოველ **ხუთშაბათს 17 საათზე** მოხდება სიების წარდგენა, ხოლო ამავე ტელევიზიის პირდაპირი ეთერით, **ყოველ ორშაბათს, 19 საათზე,** მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრების და ყველა დაინტერესებული პიროვნების მონაწილეობით გავა სპეციალურ გადაცემა: **„ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“.**

„მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პოზიცია ურყევია: ჩვენ დიდი პროცესი დავიწყეთ, მას კიდევ უფრო მასშტაბურად გავაგრძელებთ, არ მოვეშვებით არც ერთ პრობლემას, რაც ხალხში და ქვეყანაშია...ჩვენ არც იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმართლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ დაპირისპირება, პარტიების გაფეტიშება, პარტიული ინტერესის ქვეყნის ინტერესზე მაღლა დაყენება რომ დამანგრეველია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია რომ აუცილებელია, ვფიქრობთ არც ეს არის საკამათო. სწორედ ამიტომ არის საჭირო ჯანსაღი დისკუსია, ჯანსაღი პაექრობა . ეს ჩვენი გზაა. დიდი მადლობა ყველას, ვინც საფუძვლიანად ეცნობა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ნააზრევს, ვინც შეძლებს, რომ სხვაც დააინტერესოს. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის“, — ნათქვამია საინიციატივო ჯგუფის მიმართვაში.

საინიციატივო ჯგუფის პრესცენტრი

პოლემიკა

ვითომ პროფესორი არ ცხრება

⑥-⑦

მიხეილ მახარაძე

ტროტუარებზე პარკირებები უქმდება...

④

„ოქროს“, „ბრინჯაოს“ — საფრანგეთის მაკონიდან

⑩

რეზო ადამიას ნიჭის ელვარება

⑤

ხელოვნის ნათელი ხილვები და წმინდანის ცხოვრება

პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვია.

ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. საქართველოს სამთავრობო დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე იმყოფებოდნენ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრების პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებები ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითად საკითხებზე, გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა.

ორი ქვეყნის მთავრობის წევრებმა განიხილეს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო დერეფნის ფარგლებში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები; ხაზი გაუსვეს „აბრეშუმის გზის“ პროექტის ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პროექტის როლს.



ასევე განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის მნიშვნელობა გლობალური ენერგეტიკული პროექტების, მათ შორის — სამხრეთის გაზის დერეფნის განხორციელების პროცესში. როგორც მხარეებმა განაცხადეს, პროექტის წარმატებით დასრულება ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანია. შეხვედრაზე, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებზეც იმსჯელეს და აღინიშნეს, რომ პროცესს ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა, რომელიც ახლო მომავალში ჩაინიშნება.

წარმატებულად შეფასდა თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში და აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებულ დადებით დინამიკაზე საქართველოში აზერბაიჯანელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდაც მიუთითებს.

კვირიკაშვილი ალიევს შეხვდა

ჩვენ გვაერთიანებს პროექტები ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში, რომლებიც წარმატებით ხორციელდება და სარგებელი მოაქვს ჩვენი ქვეყნებისთვის და ხალხისთვის, — ამ სიტყვებით მიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, რომელსაც პირისპირ შეხვედრაზე, „ზაგულბას“ სასახლეში უმასპინძლა.

„ჩვენი ურთიერთობები დამყარებულია ისტორიაზე, ძმობაზე, კეთილმეზობლობაზე. დღეს ჩვენ ყველა მიმართულებით ვაწარმოებთ აქტიურ დიალოგს — პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროში. ჩვენ გვაერთიანებს პროექტები ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში. ეს პროექტები წარმატებით ხორციელდება, სარგებელი მოაქვს ჩვენი ქვეყნებისთვის და ხალხისთვის. დარწმუნებული ვარ, თქვენი ვიზიტი გააღრმავებს ჩვენს კავშირებს. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ გაერთიანებული ვართ ისტორიით, გეოგრაფიით, ინტერესების თანხვედრით. ენერგეტიკული, სატრანსპორტო პროექტების რეალიზაციაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობა და სტაბილურობა ჩვენს რეგიონში“, — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების იმედი გამოთქვა.

კვირიკაშვილმა სამართლიანობის ბოლომდე აღდგენა ოთხი წლით გადადო

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა, რომ ეს ბრძოლა გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე „ქართული ოცნების“ გუნდს ეგონა.

„ჩვენ მოგვიწია უარი გვეთქვა ამ პრობლემის სისტემურად მოგვარებაზე. არ შევქმენით მექანიზმი, რომელიც ერთიან კონტექსტში განიხილავდა სამართლიანობის აღდგენის პროცესს.

მართალია, ჩვენ არ შევქმენით სისტემა, რომელიც სამართლიანობას მასობრივად აღადგენდა, მაგრამ თვალნათელია, რომ სასამართლოებში მიდგომები შეცვლილია.

სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში კერძო დავების გზით მიმდინარეობს.

მე კარგად მახსოვს რა ხდებოდა 2007 წლიდან მოყოლებული. მე მაშინ ბანკირი ვიყავი და საბანკო სექტორში ვმუშაობდი. უამრავი სესხი გვაქვს გაცემული ვითომ „სამეურნეო მიზნით“, როდესაც ზუსტად ვიცოდი, რომ ფულს ადამიანებს ციხიდან გამოსაყვანად ვაძლევდით. ზოგი თავად იყო პატიმარი, ზოგის ძმა, ბიძაშვილი, ოჯახის წევრი....

სასამართლოში მიდგომა შეცვლილია და მჯერა, რომ 4 წლის შემდეგ აღდგენილი სამართლიანობის ქვეყანაში ვიცხოვრებთ,“ — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას.

ბელარუსის სამთავრობო დელეგაცია საქართველოში

30 აგვისტოს საქართველოს ბელარუსის სამთავრობო დელეგაცია ეწვია, რომელსაც ბელარუსის ვიცე-პრემიერი მიხაილ რუსი ხელმძღვანელობს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ბელარუსის ვიცე-პრემიერის მიხაილ რუსის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და პირველ ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან დიმიტრი ქუმსიშვილთან.

ამასთან, 1 სექტემბერს გაიმართება საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მესამე სხდომა, რომელსაც საქართველოს მხრიდან უხელმძღვანელებს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, ხოლო ბელარუსის მხრიდან ვიცე-პრემიერი მიხაილ რუსი. სხდომის ფარგლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ქვეყნებს შორის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, ხოლო სხდომის დასასრულ დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება.

ვიზიტი ასევე ითვალისწინებს ბელარუსის სამთავრობო დელეგაციის სტუმრობას საქართველოს რამდენიმე მსხვილ საწარმოსა და თბილისის ტექნოპარკში.

„იკვეთება დანაშაულის ნიშნები“...

გონიოში დაკარგულ სპეცრაზმელებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შედეგები უახლოეს პერიოდში გასაჯაროვდება. თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, საქმეში დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

„გამოძიებას უკვე აქვს კონკრეტული შედეგები, იკვეთება გარკვეული დანაშაულის ნიშნები. თუ რა ტიპის დანაშაულთან გვაქვს საქმე, მალე ამაზე საზოგადოება მიიღებს ინფორმაციას,“ — განაცხადა ლევან იზორიამ.

შეგახსენებთ, რომ იაგო შარაძე და გიორგი ნანიტაშვილი 16 აგვისტოს გონიოში წვრთნების დროს ზღვაში დაიკარგნენ. ზუსტად ორკვირიანი ინტენსიური ძებნის შემდეგ შავ ზღვაში დაკარგული სამხედროების ძებნა შეწყდა.

თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია გონიოში, ზღვაში დაკარგული კურსანტის იაგო შარაძის დედას ტელეფონით ესაუბრა. როგორც ელენე შარაძემ „პალიტრანიუსს“ განუცხადა, იზორიას თქმით, მისი შვილი დაკარგულად ითვლება და ოჯახს პირობას ვერ მისცემს, რომ შემდეგ იმედები არ გაუცრუოს.

ელენე შარაძე სამძებრო ღონისძიების განახლების მოთხოვნით შიმშილობს და მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, თვითმკვლელობით იმუქრება.

„მინისტრმა მითხრა, რომ თურქულ გემს რა საშუალებებიც გააჩნდა, ყველა საშუალება გამოიყენეს და ვერ იქნა ნაპოვნი დაკარგულები. გემი დაბრუნდა თურქეთში და ჩემი შვილი ითვლება დაკარგულად, ჯერ არ არის გამოცხადებული დაკარგულად, მაგრამ დაკარგულად ითვლებაო. არ მინდა შეგპირდეთ რამეს და იმედები გაგიცრუოთო. მე დაკარგულად არ ვთვლი ჩემს შვილს, მას ჯერ კიდევ სამხედრო ფორმა აცვია და ჩემი შვილის ცხედრის გარეშე ნაპირიდან ცოცხალი არ წავალ“, — განაცხადა ელენე შარაძემ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თურქულმა მხარემ მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე ძებნის ოპერაციის გაგრძელება შედეგს ვერ გამოიღებდა.

დღეიდან მაღალმთიან სოფლებში პენსია 216 ლარი იქნება!

„1 სექტემბრიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში მუდმივად მცხოვრებ, ასაკით პენსიონერებს პენსია 20%-ით გაეზრდებათ და 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს მიიღებენ“, — აღნიშნულის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ განაცხადა.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათების კიდევ ერთი ნაწილი ხვალიდან ამოქმედდება. სოციალური შეღავათების ძალაში შესვლის შედეგად, ასევე, 20%-ით გაიზრდება მთაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირების ფულადი გასაცემელი. მათ შორის არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალდაკარგულები და პოლიტრეპრესირებულები. მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ ბავშვები 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს მიიღებენ. შესაბამისად, 20 %-ით გაიზრდება სხვა სოციალური პაკეტების დანამატიც და მნიშვნელოვნად გამოხატული პირების, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების თანხა 100 ლარის ნაცვლად 120 ლარი გახდება. მიმდინარე წლის აგვისტოს მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მთაში მუდმივად მცხოვრებ პირთა შორის 52 000-მდე ასაკით პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებია. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მხოლოდ ამ დანამატებისათვის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მომდევნო თვეს 1 მილიონ 800 ათასი ლარი გამოიყოფა.

ყოველთვიური დანამატი მაღალმთიან დასახლებაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულ პერსონალსაც მიეცემა. მათ შორის რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 500-მდე ექიმი და ექთანი, რომლებიც მაღალმთიან რაიონებს ემსახურებიან, ყოველთვიურ დანამატს მიიღებენ. ექიმებისთვის ეს თანხა 360, ხოლო ექთნებისთვის — 180 ლარით განისაზღვრება. დანამატი გაიცემა რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის კლინიკების მედპერსონალისთვის — ჯამში 350 ადამიანისთვის. ლენტეხში, ყაზბეგში, გუდაურში, წალკაში, თიანეთში, თეთრიწყაროში, ბაკურიანში, ცაგერში, ონსა და ამბროლაურში, ასევე, შპს ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოში, მანგლისის საავადმყოფო-პოლიკლინიკასა და აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოში. დანამატს ასევე მიიღებენ მაღალმთიან სოფელში მომუშავე 950-მდე სოფლის ექიმი და ექთანი, რომელიც ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში — „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“. ექიმის დანამატი განისაზღვრება პენსიის ორმაგი ოდენობით — 360 ლარით, ხოლო ექთნის დანამატი განისაზღვრება 180 ლარით. ამჟამად სოფლის ექიმის მომსახურების ანაზღაურება 650 ლარს, ხოლო ექთნის — 455 ლარს შეადგენს.

ზაზა სოფრომაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ყურადღება მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მიღებისთვის აუცილებელ პროცედურაზეც გაამახვილა. **„მათ, ვისაც ჯერ არა აქვს დადგენილი მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, უნდა მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც უკვე მინიჭებული აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ავტომატურად, განცხადებით მიმართვის გარეშე დაენიშნებათ დანამატი,“** — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგში რუსეთიდან 1775 დეპორტირებულის საქმე გადააგზავნა

იუსტიციის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა ე.წ. დეპორტირებულების საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, უწყების მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად, დღეის მდგომარეობით, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გაიგზავნა 1775 ქართველი მსხვერპლის შესახებ დეტალური მონაცემები მათი გამოძევების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. ბექა ძამაშვილმა, ასევე, ისაუბრა, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა დღემდე, რა ეტაპზე ვართ ახლა და რა პროცედურები იქნება შემდეგ.

„როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ საქმეზე საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში შეიტანა 2007 წლის 26 მარტს. მიუხედავად იმისა, რომ წინა მთავრობა რუსეთიდან გამოძევებული 4,634 ჩვენი მოქალაქის უფლებების დარღვევების გამო დაობდა, მთავრობის მიერ 2008 წელს მხოლოდ 118 დაზარალებულის სია იქნა წარდგენილი; თუ რატომ — ამაზე ჩვენ ახსნა არ გვაქვს“, — განაცხადა ბექა ძამაშვილმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მმართველობის პერიოდში ჩატარდა მასშტაბური სამუშაოები, რათა მიუხედავად ნაკლოვანი სიისა, დავა არა მხოლოდ 118 დაზარალებულის ნაწილში ყოფილიყო მოგებული, არამედ სრულად დაკმაყოფილებულიყო საქართველოს სასარჩელო მოთხოვნები. 2014 წლის 3 ივლისს დავა არსებითად მოგებით დასრულდა ყველა — 4600-ზე მეტი დაზარალებულის ნაწილში.

ბექა ძამაშვილის თქმით, საქმის არსებითად დასრულების შემდეგ ევროპულ სასამართლოში დაზარალებულთა კომპენსაციასთან დაკავშირებული პროცედურა დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს, ამ პროცედურის ფარგლებში კი, თითოეული დაზარალებულის ინდივიდუალურ მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც წინა პერიოდში ევროპულ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა.

2014-2015 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დაუკავშირდა არაერთ დაზარალებულს, რომელთაგან 345-მა განაცხადა თანხმობა, ყოფილიყო სიაში; 25-მა განაცხადა, რომ არ სურდა სიაში ყოფნა (კვლავ რუსეთში დაბრუნდა და სხვ.). 2016 წლის 1 აპრილს ეს შედეგები და სახელობითი სიები მიწოდებულ იქნა ევროპული სასამართლოსთვის, რომელსაც ეცნობა, რომ დაზარალებულებთან მუშაობა კვლავ მიმდინარეობდა.

„ეს ყველაფერი ძალიან დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან გამოძევებიდან 10 წლის შემდეგ, როდესაც არ არსებობს თავის დროზე აღრიცხული მონაცემები და სათანადო ინფორმაცია დაზარალებულების შესახებ, გვიწევდა ამ სიის თითქმის ნულიდან შედგენა. ეს პროცედურა მოიცავდა ათეულობით ათასი გვერდი საარქივო თუ სხვა მასალის დამუშავებას, საქართველოში და, ასევე, მის საზღვრებს გარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში დაზარალებულების იდენტიფიცირებას სხვადასხვა წყაროდან, მათი საკონტაქტო ინფორმაციის მოძიებას, მათთან უშუალოდ დაკავშირებას, მათი მსხვერპლად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვებას, დახარისხებასა და ინგლისურ ენაზე თარგმნას. რა თქმა უნდა, გაცილებით მარტივი და აუცილებელიც იყო 2007 წელს სასამართლოში საჩივრის შეტანის დროს ამ სიის შედგენა, მაგრამ ეს არ გაკეთებულა და, როგორც აღინიშნა, მაშინ მხოლოდ 118 დაზარალებულის შესახებ მონაცემი გაიგზავნა სტრასბურგის სასამართლოში“, — განაცხადა ბექა ძამაშვილმა.

უწყებიდან გაგზავნილი სია არის საილუსტრაციო, რომელიც რუსული მხარის პოზიციის საპირისპიროდ ადასტურებს, რომ 2006 წლის შემოდგომაზე ნამდვილად მოხდა 4600-ზე მეტი საქართველოს მოქალაქის რუსეთიდან გამოძევება. ამიტომ ქართული მხარე სასამართლოს წინაშე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსეთის მხრიდან თანამშრომლობის და გამოძევებული ქართველების შესახებ მონაცემთა ბაზებში დაცული სრული ინფორმაციის სტრასბურგის სასამართლოსთვის მიწოდების აუცილებლობას. რაც შეეხება შემდეგ პროცედურებს, მხარეების მიერ დღემდე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სტრასბურგის სასამართლო თავად გადაწყვეტს, აქვს თუ არა ყველა საჭირო ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად.

ახალი მემორანდუმი მსხვილ ჩინურ კორპორაციასთან

საქართველოს **მსხვილი ჩინური კორპორაციის „CEFC China Energy“-ის აღმასრულებელი დირექტორი ჩანგ ძიანძუნი ეწვია. „CEFC China Energy“ ჩინეთის ერთერთი უმსხვილესი კორპორაციაა. ის ავტორიტეტული Fortune Global 500-ის ლისტინგშია, რომელიც მსოფლიოს უმსხვილეს 500 კორპორაციას აერთიანებს.**

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, პირველი შეხვედრა ჩინური კორპორაციის „CEFC China“-ის ხელმძღვანელობასთან საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის ჩინეთის უმსხვილეს ქალაქ შანხაიში სამუშაო ვიზიტის დროს განხორციელდა, რომლის დროსაც დაადასტურეს, რომ „CEFC China“ საქართველოში რეგიონული ოფისის გახსნას აპირებს. მისი მეშვეობით „CEFC China“ განახორციელებს საქმიანობას არა მხოლოდ აღნიშნულ რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც. გარდა ამისა, უშუალოდ საქართველოში ჩინური კორპორაცია დაინტერესებულია განახორციელოს ინვესტიციები საბანკო სექტორში, ენერგეტიკასა და ტურისტულ ბიზნესში.

„CEFC China“-ის აღმასრულებელი დირექტორის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა ხელმოწერა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კორპორაცია „CEFC China Energy Company Ltd“-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმზე ბიზნეს და საინვესტიციო თანამშრომლობის შესახებ.

მარიამობას ნაცვებთან კი არა, სატანასთანაც შეიძლება ქეიფი... ღმერთი შეგინდობს!

ჩაქვში ოაზისში გადაღებულ ფოტოებს, რომელსაც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურად განიხილავენ, ზვიად ჯანყარაშვილი ეხმაურება. გენინსპექციის ყოფილი უფროსის კომენტარი სააგენტო „ექსკლუზივ ნიუსმა“ მოიპოვა. **„მინდა კომენტარი გავაკეთო სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოსთან დაკავშირებით, რომელმაც უხერხული გაუგებრობა გამოიწვია და ბევრ ადამიანს მრავალი ინტერპრეტირების საშუალება მისცა. რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდი ჩაქვში ჩემს შვილთან ერთად. ერთ საღამოს ბავშვების კარაოკე ცენტრში ვიყავი ჩემს შვილთან... გვერდით მაგიდაზე ოჯახთან ერთად მჯდომმა ნოდარ ხადურმა თავის მაგიდასთან მიიწვია განურჩევლად ყველა იქვე მჯდომი დამსვენებლები და მათ შორის მეც ჩემს უფროს ვაჟთან ერთად, დამდეგი მარიამობა მოგვილოცა, რის შემდეგაც ყველა თავის მაგიდას და ოჯახს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, პოლიტიკური კონსპირაციების მოყვარულმა რომელიღაც თანამეინახემ დრო იხელთა, ფოტოები გადაიღო და გაავრცელა, რამაც მთელი ეს გაუგებრობა გამოიწვია“,** — განაცხადა ზვიად ჯანყარაშვილმა.

ცესკომ ვალერი კვარაცხელიას პარტია „სოციალისტები“ რეგისტრაციიდან მოხსნა

საქართველოს **ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების რეგისტრაციიდან მოხსნა პრორუსული პარტია კვარაცხელია-სოციალისტები. გადაწყვეტილება ცესკომ გუშინ მიიღო.**

სექტემბრიდან ტროტუარებზე პარკირებები უქმდება, ახალი საბაგირო კი უახლოეს დღეებში ამუშავდება

თბილისში ტროტუარებზე ავტომობილების პარკირების ადგილები ეტაპობრივად გაუქმდება და პროცესი უკვე დაწყებულია, განუცხადა „კომერსანტს“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა მამუკა მუმლაძემ.

მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში რადიო „კომერსანტის“ ეთერში საუბრისას თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ იგეგმებოდა ზაფხულის განმავლობაში ტროტუარებზე არსებული 1500 პარკირების გაუქმება.

„რაც ყველაზე მეტად სამარცხვინოა, სითი პარკისთვის ტროტუარებზე პარკირების ადგილებიც კი გადაცემული აქვთ და, შესაბამისად, ჩვენი მოქალაქეების ფეხით სასიარულო ადგილებზე დღეს ავტომობილები აყენია. როდესაც ჩვენ ქალაქის ხელისუფლებაში მოვედით, ასეთი 2 ათასზე მეტი ადგილი იყო. ასეთი 500 ადგილი ჩამოვართვით სითი პარკს და დავუბრუნეთ ფეხით მოსიარულეებს. ვგეგმავ, რომ ამ ზაფხულისთვის დანარჩენი 1500-იც ჩამოვართვათ და სექტემბრისთვის ქალაქის ტროტუარები გავათავისუფლო ავტომანქანებისგან. ეს, ბუნებრივია, ავტომობილების მფლობელთა გულისწყრომას გამოიწვევს: როცა ერთ კარგ საქმეს აკეთებ, იმას საპირისპირო უკმაყოფილება მოყვება, მაგრამ მინდა მოვუწოდო მძღოლებს, გაგებით მოეკიდონ ამას, რადგან ტროტუარზე მდგარი ავტომანქანა არის საფრთხე — როცა ავტომანქანები ტროტუარზე გადადგილდებიან და იქვე მოძრაობენ ფეხით მოსიარულეები, რა თქმა უნდა, ესაა მომეტებული რისკის ზონა. ჩვენ, როგორც ქვეყანა, ისე ქალაქი, დასავლური გზით მივდივართ, დასავლეთში კი უპირატესობა ენიჭება ადამიანს და არა ავტომობილს. მოვუწოდებ სითი პარკს, ალტერნატიული პარკირების ადგილები გააჩინოს,“ — განაცხადა ნარმანიამ.

დღეს ირკვევა, რომ თბილისის ხელისუფლება მკვეთრ ნაბიჯებზე არ წავიდა და პარკირებების ერთბაშად გაუქმებაზე უარი თქვა, რადგან ეს, ერთი მხრივ ავტომობილების მფლობელებისთვის პრობლემების შექმნას, მეორე მხრივ კი მათ მიერ პარკირების წესების დარღვევების ზრდას გამოიწვევდა.

„არ გვინდა საკითხები ხისტად, ერთი ხელის მოსმით გადავწყვიტოთ, თუმცა ჩვენი საბოლოო მიზანი არის ტროტუარების მთლიანი განთავისუფლება ავტომობილების პარკირებებისგან,“ — აცხადებს მამუკა მუმლაძე.

მისი ინფორმაციით, ორი წლის წინათ თბილისში, ტროტუარებზე პარკირების 2 ათასამდე ადგილი იყო, დღეს კი ეს რაოდენობა 800-დან 900-მდე ერთეულია.

სწორედ ამიტომ მერიამ ადგილების გაუქმების პარალელურად მათთვის ალტერნატივების შექმნა დაიწყო. შესაბამისად, პროცესმა უფრო მეტი დრო მოითხოვა.

მამუკა მუმლაძის თქმით, ამ ეტაპზე პარკირების ადგილები უქმდება ჭავჭავაძის გამზირზე, ასევე ვაკის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან არსებულ მიშველაძის ქუჩაზე (27 პარკინგი), ჩოლოყაშვილის გამზირზე გაუქმდება16 ადგილი, ასევე საპარკინგე ადგილები გაქრება ნუცუბიძის, პეკინისა და ყაზბეგის, ცოტნე დადიანის ქუჩებზე.

პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს, რათა პარკირების გაუქმების პარალელურად მოხდეს „შეჭრების“ გაკეთება. მუმლაძის განმარტებით, მერიამ ასეთი მიდგომა იმის გამო აირჩია, რომ არ მომხდარიყო დისკომფორტის შექმნა მძღოლებისთვის და, ფეხით მოსიარულეებისთვის ტერიტორიის გამოთავისუფლებასთან ერთად, ავტომფლობელებისთვის მანქანის გაჩერების ალტერნატიული ადგილები შეეთავაზებინათ.

საქალაქო სამსახურის უფროსი ამბობს, რომ პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა მრავალდონიანი ავტოსადგურის მშენებლობაზე და დაგეგმილი 10 ლოკაციის გარდა მერია გეგმავს დამატებითი ადგილები მოიძიოს, რათა მსგავსი სადგური დედაქალაქში რაც შეიძლება მეტი იყოს.

„არ გვინდა საკითხები ხისტად, ერთი ხელის მოსმით გადავწყვიტოთ, თუმცა ჩვენი საბოლოო მიზანი არის ტროტუარების მთლიანი განთავისუფლება ავტომობილების პარკირებებისგან,“ — აცხადებს მამუკა მუმლაძე.

მისი ინფორმაციით, ორი წლის წინათ თბილისში, ტროტუარებზე პარკირების 2 ათასამდე ადგილი იყო, დღეს კი ეს რაოდენობა 800-დან 900-მდე ერთეულია.

დედაქალაქში უახლოეს კვირებში კიდევ რამდენიმე სიახლე იგეგმება: პეკინის გამზირიდან ბახტრიონის ქუჩაზე გადასახვევ მონაკვეთში ჭკვიანი შუქნიშანი გაჩნდება. სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ წინა ტერიტორიაზე დამატებითი ზოლები გაკეთდება, რათა ამ მონაკვეთში გზა გაფართოვდეს და საცობების განტვირთვა მოხდეს.

მიმდინარე კვირის დასაწყისში შუქნიშნები ჩაირთო სააკაძის მოედანზე, სადაც უსაფრთხოების კუნძულები მოეწყო და, როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში ამბობენ, მოძრაობა ორგანიზებული გახდა. მათი თქმით, ეს სიახლე ამ მონაკვეთში მოძრაობას 8-10%-ით განტვირთავს.

სააკაძის მოედნის ირგვლივ რამდენიმე (ტექნიკურ უნივერსიტეტთან და თიბისი ბანკის ფილიალთან) პარკირება გაუქმდა, ამიტომ ბენზინგასამართი სადგურების აღება, რაზედაც საუბრები იყო, აღარ გახდა საჭირო.

რაც შეეხება ახალ, გერმანული „მანის“ ავტობუსებს, მათი პირველი პარტია, 10 ავტობუსი, დედაქალაქში უახლოეს დღეებში, 15 სექტემბრამდე გამოჩნდება და ჭავჭავაძე-რუსთაველი-ბარათაშვილი-პუშკინის მიმართულებით ივლის.

მამუკა მუმლაძის განმარტებით, მომდევნო თვეებში ავტობუსები დაემატება და, შესაბამისად, ავტოპარკი განახლდება — გარეუბნებში, ამორტიზებულ ყვითელ ავტობუსებს შეცვლის იგივე ყვითელი, თუმცა შედარებით ახალი ავტობუსები. როგორც ცნობილია, თბილისში თებერვლამდე „მანის“ 143 ლურჯი ავტობუსი უნდა შემოვიდეს, სულ კი ქალაქს 750 ერთეული სჭირდება. ამ ოდენობის ახალი ავტობუსების შემოყვანა მომდევნო წლების პერსპექტივაა.

ამ ეტაპზე დედაქალაქს 512 ავტობუსი ემსახურება. ახალი ავტობუსების შემოსვლის შემდეგ, მათი რაოდენობა 580-604-მდე გაიზრდება.

ასევე სიახლეა ის, რომ დედაქალაქში შემომავალი საქალაქთაშორისო მარშრუტები განისაზღვრება და შემოსულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მხოლოდ ამ მარშრუტზე მოძრაობის უფლება ექნება.

უახლოეს დღეებში თბილისს კიდევ ერთი სიახლე ელის — 5 სექტემბრამდე პერიოდში, პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კუს ტბის განახლებული საბაგირო ამოქმედდება.

მუშაობა მიდის მთაწმინდის საბაგიროს განახლებაზეც — ეს ხაზი თბილისს მომავალი წლის ივლისისთვის დაემატება, ამ ეტაპზე კი კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს.

კომერსანტი

მადლობა თქვენ, მეურნეებო!

მაშინ, როცა ერთიანად თბილისის თუ ცალკეული რაიონის სხვადასხვა, უმეტესწილად კი კეთილმოწყობის, გამწვანებისა თუ სხვა სამსახურის წარმომადგენელთა მიმართ დღენიადაგ უამრავი საყვედური გაისმის, მოსახლეობა კი ზოგჯერ, სულაც, პერმანენტულ საპროტესტო აქციებს მიმართავს, განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულოა, როცა ხალხი კომუნალური მომსახურების სფეროს მუშაკებს ემადლიერება.

კერძოდ, რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში, ჩვენს თანამოქალაქეთა ერთი ჯგუფის მადლიერების წერილი მივიღეთ, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„პატივცემულო რედაქცია! თქვენი გაზეთის მეშვეობით, ჩვენ, თბილისში, არაყიშვილის №9-ში მცხოვრებლებს, გვინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განყოფილებისა და ვაკე-ბაგების საუბნო განყოფილების თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც კეთილსინდისიერად შეასრულეს თავიანთი სამუშაო და ჩვენს ეზოში ასფალტი უმოკლეს ვადაში და ძალზე ხარისხიანად დააგეს.

ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს!

ქეთევან ჟულუხაძე,

არაყიშვილის №9-ის ამხანაგობის თავმჯდომარე.“

◎ ადამიანი დროში

26 გადარჩენილი სიცოცხლე

ტრაგედია მოხდა — სოხუმი დაეცა, საქართველოს შეიარაღებული ძალები გადიოდნენ აფხაზეთიდან. ტყვარჩელის მახლობლად კი ოცდაექვს ქართველ ჯარისკაცს, რომლებმაც ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ, რადგან ვერაფრით ვერ აღადგინეს გაფუჭებული რაცია და ხმაც ვერანაირად ვერ მიაწვდინეს, კვლავ საბრძოლო პოზიცია ეჭირა. ისინი უეჭველი სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი.

დრო არ ითმენდა, ყოველწუთიერად სულ უფრო მატულობდა რისკი და საშიშროება. სასწრაფოდ მოძებნა თავისი კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ვალიკო ანსიანი, გამოაყვანინა ტრაქტორი, თვითონაც გვერდით მიუჯდა მექანიზატორს და გაემართნენ აფხაზურ სოფელ ფოქვეშისკენ, შოთა სალიას სახლისკენ. შოთამ იცოდა, სადაც იდგნენ ჩვენი ჯარისკაცები. მივიდა მათთან და გააფრთხილა ისინი. მათაც შეწყვიტეს ბრძოლა და დატოვეს იქაურობა.

ასე გადარჩა 26 ჯარისკაცი. შემდეგ ეს იური საჯაიას დამსახურებად ჩათვალეს და სხვა დამსახურებათა გათვალისწინებითაც, „ღირსების“ ორდენით დააჯილდოვეს...

საოცარი ტკივილით იხსენებს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მომენტებს ბატონი იური, რომელიც დღეს 75 წლისა გახდა.

იგი სწორედ აფხაზეთში, ოჩამჩირის სოფელ ოხურეიში დაიბადა, 1959 წელს წარმატებით დაამთავრა ოჩამჩირის №1 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც 1965 წელს დაამთავრა.

თუმცა 1965 წლის 16 თებერვალს, როცა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, მის სოფელში გათავისუფლდა აგრონომის და, იმავდროულად, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ადგილი, სადაც ის დანიშნეს.

შემდეგ იყო მუხლჩაუხრელი, თავდადებული შრომის წლები, დაწინაურება, წარმატებები... 1980-1985 წლების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისთვის 1986 წლის 16 სექტემბერს დააჯილდოვეს „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით.

სულ ბატონმა იურიმ 15 წელი იმუშავა მთავარ აგრონომად, 13 წელი კი — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 12 წელი, დევნილობის პერიოდში, ამავე სოფლის გამგებელი გახლდათ...

დროს ვერაფერი დაუკლია ბატონი იურისთვის — 75 წლისა ერთობ ენერგიულად და მხნედ გამოიყურება. ამაყობს თავისი ოჯახით, შვილიშვილებით. ხოლო თუ დროდადრო სახეზე ჭმუნვა დაეტყო, ხმაში კი — ნაღველნარევი ტონი, ეს იმ ტრაგედიის გამოძახილია, თავისი მშობლიური კუთხის დროებით დაკარგვით რომ არის გამოწვეული.

ღმერთმა ეს ჭმუნვა-ნაღველიც მალე დააძლევინოს ამ ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ადამიანს.

გიორგი კაჭახიძე

ხელოვნის ნათელი ხილვები და წმინდანის ცხოვრება

დავით ალმაშენებლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, პუბლიცისტი, მწერალი **რეზო (ემელიანე) ადამია,** ჩემთვის, უპირველესად, დიდი მხატვარი და უშესანიშნავესი ხატმწერია. უპირველესად-მეთქი ვამბობ, რადგან პირველად მისმა ფუნჯის ძალამ, სინატიფემ, ფერთა მრავალფეროვნებამ, მხატვრულმა კომპოზიციებმა გამაოცეს და დამატყვევეს. შემდგომში მის ლიტერატურულ ნაშრომებსაც გავეცანი, რომელთა უმეტესობაც ჩვენი მეგობრობის დროს შეიქმნა და როგორც ჟურნალისტს, შიგადაშიგ მკითხველთათვის მათი გაცნობის საშუალება მომეცა. ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა ჯერ კიდევ მელანშეუშრობელი ნაშრომების ნაწყვეტები, ზოგ-

ჯერ კარგა მოზრდილი თავებიც **ვაჟას, გალაკტიონისა** და **ტერენტი გრანელის** შემოქმედების რეზო ადამიასეული კოსმოგენური თვალთახედვით, ერთ საერთო ფოკუსში მოქცეული, რომლებსაც ერთმანეთთან საერთო მხოლოდ ის ჰქონდა, რომ დიდი მხატვარი თავისი სათაყვანებელ პოეტებს, ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ გენიოსებს, ყველასაგან განსხვავებულ — კოსმიური გონის, ზეციური და მიწიური თვითშერწყმით აფასებდა, სხვაგვარ განზომილებაში გადაჰყავდა მათი შემოქმედება.

სამყაროში არაფერია შემთხვევითი, ყოველივე ღმერთის, ამ კოსმოსური ამოუცნობი გენის მიერაა წინასწარ განსაზღვრული — ამტკიცებს თავისი მსოფლმხედველობის განხილვისას რეზო ადამია.

მარიამობის დღესასწაულის წინა დღეს, როდესაც რედაქციაში გვესტუმრა და რედაქტორს თავისი ახალი, რომანი გადასცა უმალ დავალებაც მივიღე — აი, შენი მეგობრის წიგნი და წარვუდგინოთ მკითხველსო. მარიამობას უკეთეს საჩუქარს რას მოველოდი — **რეზო ადამია. „წმინდა ნინო“. რომანი.**

„წმინდა ნინო! — იბერიელ-კოლხთა დედა, სულიერ-გონებრივად განმანათლებელი, დაუზოგავი შრომით და მეცადინეობით, ლოცვაში გატარებული უძილო ღამეებით, მშვიდად ეწირებოდა წუთისოფელს, მისხალ-მისხალ, შეუფასებელი სიცოცხლის წვეთთა-

წვეთობითი გადაცემით. ამგვარი შინაარსის და ღვთიური ფუნქციების შესრულებით საკმაოდ დაღლილს უნდა მიეძინა წმინდანისგანვე რჩეულ უმშვენიერეს ბოდბეში.

ამჟამად მარად განსვენებულს უსასრულო მოციქულობითვე სძინავს...“ ეს რეზო ადამიაა.

რეზო ადამია, რომელიც ურთულეს საქმეს შეეჭიდა, ურთულესს, რადგან გარომანება სცადა ჩვენი განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ცხოვრებისა, რომლის შესახებაც ყველა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა იცის. იცის მისხალ-მისხალ, მემატიანეთა, ჰაგიოგრაფთა, ისტორიკოსთა, უცხოელ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომებიდან მოყოლებული მეოთხე საუკუნიდან დღემდე. ჩვიდმეტი საუკუნეა წმიდა ნინოს შესახებ იწერება არაბულად, ბერძნულად, ქართულად, სომხურად, სპარსულად, რუსულად, იწერება შრომები, კვლევები, საგალობლები, პოეტური და პროზაული შედევრები. სწორედ ამიტომაც იყო ურთულესი. აკი თავად ავტორიც ბრძანებს: **„თქვენი მონა-მოჩრილი, ამჟამად რაზეც ვფიქრობ და ვწერ, ბიოგრაფია კი არაა წმიდა ნინო კაპადოკიელისა და არცა ჩემი სურვილია, ამგვარად ნააზროვნები დავტოვო ფურცელზე. ყოველივე ჩემგან დამოუკიდებელი ნათელი ხილვებია მართლმადიდებლური გონების მეოხებით და კეთილსინდისიერად ჩემს აზრებს ვაფიქსირებ, რათა მართალ ფიქრთა ზეციური მოგზავნება უკვალოდ არ დაიფანტოს. მაგალითისთვის დიდ მოვლენებს მოვიშველიებ: სამყაროში არსებული მოდარაჯე ძალებისგან შემთხვევით მიუხედავი მცირე პლანეტებიც ხომ ქრებიან...**

მაღალი ღმერთის გონება ხომ უსასრულოა და ჩვენც გვაძლევს იმის უფლებას და გაკვეთილს, რომ თანმიმდევრულად მივაყოლოთ მოღვაწეობა უძვირფასეს მიუკარება ღვთიურ გონებას“.

უნდა დაეწერა რეზო ადამიას, აკი თავადვე ამბობს **„ეს მართალ ფიქრთა ზეციური მოგზავნებაა“...** ღმრთისგან არის ნაკარნახევიო, ზეციური, კოსმოსური გონითაა ნასაზრდოებიო, უდიდესი ღვთისმოსაობითა და ღვთისმოშიშობითაა დაწერილიო — ამას ჩვენ ვამბობთ, ჩვენ, ვისაც საშუალება ჰქონდა მართლაც ერთი სულის მოთქმით წაეკითხა რომანი, წმინდანის ცხოვრების ახლებური ხედვა. რომანის შემქმნელისგან სასურველიც კია თავისი თვალით დაინახოს იმდროინდელი ეპოქა, სადაც გმირს უწევს ცხოვრება, თავისი ფანტაზიითა და შემოქმედებითი შესაძლებლობებით შეალამაზოს იგი. მაგრამ ეს მეტად საფრთხილოა, როდესაც წმინდანს, საეკლესიო დოგმებში მოქცეულ ცხოვრებას, ტერმი-



ნებს, მსოფლმხედველობას ეხება. აკი დიდმა კონსტანტინემ სულ ერთსტროფიან ქართულ-ხალხურ ლექსზე დაყრდნობით შეძლო უდიდესი რომანის, თავისი შემოქმედების ბრწყინვალების, „დიდოსტატის მარჯვენის“ შექმნა. გიორგი მეფე, მელქისედეკ კათალიკოსი, ხუროთმოძღვარი არსაკიძე და ორიოდ ისტორიული პიროვნება, აი, რა ეპყრა ხელთ ამ უდიდესი ისტორიული რომანის დამწერს, რომელმაც იმ დროის საქართველოში გადაგვასახლა და თავისი ფანტაზიით შექმნილი რომანის ასობით გმირის ცხოვრება გაგვათავისებინა.

რეზო ადამიამ თავისი რომანი ოსტატურად შექმნა ჰაგიოგრაფიულ, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, რომელნიც შიგადაშიგ რომანში ლამაზად შეაზავა დიდი ანა კალანდაძის პოეტურ ქმნილებას წმინდა ნინოზე და საკუთარი ხელოვნებით შექმნილ ხატწერის უნიკალურ შედევრებს (ოცამდე ხატი ამშვენებს წიგნს რეზო (ემელიანე) ადამიას მიერ დაწერილი).

მირიან მეფის კარზე მოღვაწე ახალგაზრდა დიდაზნაური რატი ქალწულ ნინოზე შეყვარებული და შემდგომში წმიდანის მიერ ქრისტეს სჯულზე მოქცეული, სომეხი დიდვაჭარი სურენი, მსოფლიოშემოვლილი და თავადვე ქრისტეს სჯულზე შემდგარი, უბრალო მცხეთელები და ბოდბელნი, თვალებხატულა პატარა ქრისტიანი გოგონა თავის ბებოსთან ერთად, რომელიც წმინდანს ეახლება და საჩუქრად ჩალისფერ კრუხსა და ოცდაცამეტ წინწილას გადასცემს... ამგვარი პასაჟები მრავლადაა რომანში, რომელნიც მისტიკურად ხსნიან თავისი ქმედებით ღვთიურ აზრებს. ყოველივე კი ლამაზი, გამართული ქართულითაა გადმოცემული. ავტორი იმასაც ცდილობს, და ვგონებ ეს შესანიშნავი რომანიც იმად შეიქმნა (ზემოთ აღვნიშნეთ), **„თავისივე ნათელი ხილვები მართლმადიდებლური გონების მეოხებით“** გადმოგვცეს და ათეული საუკუნეების წინანდელი ყველასათვის ნაცნობი ისტორია გადმოგვცეს. სხვა, განსხვავებული თვალით დაგვანახვოს. დაგვანახვოს უბრალო მოკვდავი მართლმადიდებელი თანამედროვე ადამიანის თვალით, რომელსაც ყოველივე ეს კოსმიურმა გენმა შთააგონა.

ნებისმიერი ნაწარმოების კითხვისას თავს ვარიდებ რედაქტორთა და სხვადასხვა შემოქმედთა შეფასებების კითხვას, რომელიც თითქმის ყველა ნაწარმოებს აქვს წამძღვარებული. მსურს, სხვათა დაუხმარებლად გამოვიტანო ჩემი აზრი ამა თუ იმ ნაწარმოებზე და მათ, თუნდაც პირუთვნელ კრიტიკას შემდგომ გავეცნო, რითი ვეთახმები და რითი ვეწინააღმდეგები მათ აზრს, რა ვერ გავიგე და რისი გაგებაც სხვაგვარად, სხვა თვალთახედვით შეიძლებოდა. ამჯერადაც ჩეულებას ვერ ვუღალატე და მიუხედავად იმისა, რომ შვიდივე პიროვნება ვინც წინასიტყვაობა დაურთო გამომცემლობა **„ინტელექტის“** მიერ ამ შესანიშნავად გამოცემულ წიგნს, ჩემთვის დიდად დასაფასებელი და კომპეტენტურია, მათ აზრს დიდი ცდუნებისდა მიუხედავად რომანის ბოლომდე ჩათავების შემდეგ გავეცანი.

„რეზო ადამიამ ჭეშმარიტად გაიმარჯვა, და ამის ერთ-ერთი კარგი ნიშანია მისი სიბერის პირმშო ახალ სფეროში, რომელსაც ლიტერატურა ჰქვია — რომანი წმინდა ნინოს შესახებ, მისი ხატების მსგავსად, სავსეა ფერადოვანი გამებით“.

მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე.

„...აღტაცებას ვერ ვმალავდი ბატონი რეზოს ამ ახალი შედევრის კითხვისას. მან ჭეშმარიტი მწერლის ალღოთი იპოვა ის ზუსტი ჟანრი, რომელშიც წმინდა ნინო ქართული ეროვნული ხასიათის გაგრძელებადაც მოიაზრება“...

რეზო მიშველაძე.

„ნაწარმოები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, რაც განპირობებულია ავტორის მაღალი ნიჭიერებითა და წერის ორიგინალური მანერით“.

როინ მეტრეველი.

„მაინც არ ეყო მხატვარ რეზო ადამიას წმიდა ნინოსადმი ფერთა ჰარმონიით თაყვანისცემა. გა-

დაწყვიტა მწერლის საკადრისად, სიტყვებითაც შეემკო ქართველთა უპირველესი წმინდანი“.

მაყვალა გონაშვილი.

„ქართველო მკითხველო, წაიკითხე რეზო ადამიას ახალი რომანი — „წმინდა ნინო“ და იგრძნობ შემოქმედის სათნოებას!“

ჯანსულ ჩარკვიანი

„რეზო ადამიას რომანის კითხვისას, შეუმჩნევლად რეალობას მოვწყდი და გადავინაცვლე კოსმოსში“...

აკაკი დაუშვილი.

„ავტორმა ბეწვის ხიდზე იარა და შეიქმნა რელიგიური ფანატიზმისგან თავისუფალი, ფხიზელი ქრისტიანულ-ფილოსოფიური ძიებებით აღსავსე შესანიშნავი ნაწარმოები“.

გოგი ლორთქიფანიძე.

* * *

...დაბოლოს თქვენმა მონა-მორჩილმა, რომელმაც უდიდესი სიამოვნება მივიღე მარიამობის დღესასწაულზე — წავიკითხე რომანი ჩვენს განმანათლებელ მარადქალწულ ნინოზე, მეტად ორიგინალური, მუსიკისა და მხატვრობის ნაზავი.

„ეს ნაწარმოები მართლაც პრესტიჟული პრემიის ღირსია და ჩვენც მზად ვართ, წარვადგინოთ იგი შესაბამის კომიასთან“. — ასეთია ბევრ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა აზრი, ვინც კი გაეცნო რეზო ადამიას ახალ რომანს.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ფესვები

გული სიამაყით ამევსო

ახლახან ერთ-ერთ რუსულ არხზე აღნიშნავდნენ ცნობილი კომპოზიტორის ტარივერდიევის დაბადების დღეს. გაიხსენეს კომპოზიტორის ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები კინოფილმებიდან „კრემლის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ საღამოზე არაერთი ცნობილი მომღერალი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოს სახალხო არტისტი თამარ გვერწითელი, გრიგორი ლეპსი (ლეპსიწვერიძე). გული სიამაყით ამევსო, როდესაც გამოაცხადეს, რომ ტარივერდიევი თბილისში დაბადებულა და პირველი მუსიკალური განათლება აქ მიუღია.

ასევე სასიამოვნოა, როდესაც ცნობილი თანამედროვე ბალერონის ნიკოლოზ ცისკარიძის წარმატებები გვესმის, ალბათ გაგიგიათ, თბილისელები იყვნენ ევგენი პრიმაკოვი, ცნობილი ექიმი, აკადემიკოსი ბურაკოვსკი, ქართველები არიან ლეო ბოკერია და მაყვალა ქასრაშვილი, ცნობილი ხელოვანი ზურაბ სოტკილავა, მხატვარი ზურაბ წერეთელი.

თურმე ცნობილ მომღერალ თევდორე შალიაპინს პირველი საოპერო ნათლობა თბილისში მიუღია. ხოლო ჩაიკოვსკი და რუბინშტეინი საქართველოზე, განსაკუთრებით ბორჯომზე იყვნენ შეყვარებულები, და ჩვენს ქალაქებში ჩაიკოვსკის ქუჩაცაა... პასტერნაკი და გორკი, პუშკინი და ესენინი თბილისს და საქართველოს აღმერთებდნენ. ხოლო ვლადიმერ მაიაკოვსკი თავს საერთოდ ქართველად მიიჩნევდა (ბაღდათში დაიბადა) და შესანიშნავად საუბრობდა ქართულად. ცნობილი ფაქტია — ამერიკაში ყოფნისას ერთმა ჟურნალისტმა პრესკონფერენციაზე მწყობრიდან გამოიყვანა და მან ქართულად შეუკურთხა, რამაც იქ მყოფი ერთი ქართველის გაოცება გამოიწვია და შესძახა — ძმაო, ქართველი ხარო?

ეს წერილი რუსოფობიაში არ მინდა ჩამეთვალოს, უბრალოდ, ასეთი კულტურული და ისტორიული ფესვები არსებობს და ამის არ დანახვა შეუძლებელია.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ვითომ პროფესორი არ ცხრება

მკითხველს წინასწარ ბოდიში მინდა მოვუხადო წერილში ჩემთვის მიუღებელი და უცხო ტონის გამო. მაგრამ ოპონენტი მჭავს ისეთი, რომ სხვა გამოსავალს არ მიტოვებს.

თავის დროზე მეგონა, რომ პოეტ შოთა ზოიძესა და ჩემს შორის პრესის ფურცლებზე კამათი გასული საუკუნის ბოლოს დასრულდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბათუმში გადმოვედი სამუშაოდ, ის რამდენჯერმე დამესხა თავს პრესაში. ამასთან, როგორც წესი, სხვა საკითხებზე საუბრისას დესერტად ჩემ კრიტიკასა თუ ლანძღვა-გინებას დააყოლებდა.

მე ამ გამოხდომებს არ ვპასუხობდი სხვადასხვა მიზეზით, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ იმ ასაკში ვართ, ერთმანეთი კი არ უნდა ვლანძღოთ, არამედ მოვეფეროთ და ცხოვრების დარჩენილი მონაკვეთი გავულამაზოთ. შოთასთვის ამ კატეგორიებით საუბარი არაფერს ნიშნავს და ნარცისიზმით შეპყრობილი მისას მიერეკება. ყველაფრის მიუხედავად, ამ დროის განმავლობაში მე მისთვის სალამი არ დამიძვირებია, რაღაცებში თანადგომა და თანაგრძნობა გამიწევია და ბულატ ოკუჯავაზე მისი წერილი მოვუწონე კიდეც. თუმცა, იქვე ჩემ შექებას მან ცივი წყალი გადაასხა: ის დისიდენტი არ ყოფილაო, დამიწყო მტკიცება. სამწუხაროდ, მენტალურად საბჭოთა წარსულში ჩარჩენილ შ. ზოიძეს დისიდენტობა დღესაც საძრახისად მიაჩნია.

მე რომ შოთას ოკუჯავაზე წერილი შევუქე, მეორე დღეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (15 ივლისი, 2016) გამოქვეყნდა მისი წერილი, სადაც დესერტად ჩემზე მორიგი ინსინუაციებია. ამასთან, წაუტრაბახია კიდეც: აქ მიხეილ მახარაძე არაფერ შუაში იყო, ისე მივაყოლეო (?!).

წერილის რამდენიმესტრიქონიან მონაკვეთში ორი მამალი ტყუილი გაავრცელა ჩემს შესახებ და თანაც მავანთ მოუწოდა, პოლიტიკური ნიშნით ხელი რატომ არ შეუშალეთ მიხეილ მახარაძეს, როცა ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორად ირჩევდნენო.

მეტი დუმილი აღარ შეიძლებოდა. საპასუხო წერილში („ს.რ.“, 28 ივლისი, 2016) შ. ზოიძე ვამხილე სიცრუეში და, აგრეთვე, იმაში, რომ არც მთლად წესიერი გზით არის არჩეული პროფესორად და კანონის დარღვევითაა გადაყვანილი პროფესორ-ემერიტუსად. წესითა და რიგით, ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად! შოთამ გამოაცხო ახალი ვრცელი ოპუსი აჭარაში საკადრო ცვლილებებზე და ტრადიციას არც ახლა უღალატა: დესერტად კვლავ ჩემი ლანძღვა მიაყოლა („ს.რ.“, 16 აგვისტო, 2016).

ჩემს წინააღმდეგ შ. ზოიძის მორიგი გამოხდომა სხვა არაფერია, თუ არა რინგის კუთხეში მიმწყვდეული, მძიმე ნოკდაუნიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსული მოკრივის ხელების უაზრო ქნევა, რაც გამოიხატება სიცრუის ტირაჟირებაში, საკუთარი თავის განდიდებაში, მის არარსებულ გაკეთებულ საქმეებით თავის მოწონებაში, ლოგიკას მოკლებულ მსჯელობებში და სხვა მისთანანი.

ერთი შეხედვით, არც ღირს ასეთ ნაცოდვილარზე პასუხის გაცემა, მაგრამ სიცრუის ტირაჟირება, რაც ასე უხვადაა შ. ზოიძესთან, იმ გაზეთში, სადაც სხვადასხვა დროს ჩემი საეტაპო წერილებია გამოქვეყნებული, რეაგირებას საჭიროებს.

დავიწყოთ ზოგადი საკითხებით.

ჩემს წინა წერილში ნათლად ვაჩვენე, რომ შ. ზოიძე ვითომ პროფესორია. მან ძალიან კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობით ვიხმარე ეს გამონათქვამი, მაგრამ თავს იმით იმშვიდებს, რომ, რაღაც უადგილო პარალელს მიმართავს ასოცირებულ პროფესორთან. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავ, რომ ვითომ პროფესორში ვგულისხმობ ვაიპროფესორს, თუნდაც ფსევდოპროფესორს. აქვე აღვნიშნავ, რომ ზოიძის „ვითომ პროფესორის“ წოდებით მოხსენიება მთლად ჩემი შემოქმედება არ არის, სხვადასხვა შინაარსით მსგავსი რამ მისი კოლეგებისგან მომისმენია. მე კი შევეცადე ამის უფრო ლაკონიურად გამოხატვა. ახლა რამდენიც არ უნდა ეცადოს, შ. ზოიძე **ვითომ პროფესორის** იარლიყს ვეღარ ჩამოიშორებს.

შ. ზოიძე თურქეთში სამხედრო გადატრიალების თემასაც ეხება და გვამცნობს: პუტინმა გააგებინა გადატრიალების შესახებ ერდოღანს და მსოფლიო კატასტროფისგან იხსნაო. ის, რაც დანამდვილებით არ იციან მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურებმა, აგერ გულთმისან შოთასთვის ცხადზე ცხადი ყოფილა. აქ ერთი რამ არის გასარკვევი – პუტინმა ეს შ. ზოიძესთან შეათანხმა თუ პირდაპირ ერდოღანს აცნობა.

ხუმრობა იქით იყოს და აქ საქმე უფრო მარტივადაა. ორთოდოქს რუსეთუმეს, საბჭოთა სუკ-ის გავლენის ქვეშ მყოფ მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულს და საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილ შ. ზოიძის დიდი სურვილი აქვს, ქართველი ბიჭების სისხლის მსმელი რუსეთი და პუტინი მშვიდობის მტრედად წარმოადგინოს.

შესავალში ვახსენეთ, რომ შ. ზოიძის წერილი აჭარაში საკადრო ცვლილებას ეხმაურება. ერთ ამბავშია, აჭარის ახალი ხელმძღვანელი ნამდვილად გააკეთებს საქმესო, სხვა თუ არაფერი აჭარლების სიძეაო. ეს შ. ზოიძის ჩვეული ეშმაკობაა, ადრე მსგავს დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ლევან ვარშალომიძის მიმართ. ახლა ზურაბ პატარაძეს ემლიქვნელება და ელაქუცება.

ცოტა წარსულიც გავიხსენოთ. შ. ზოიძე ასლან აბაშიძის მმართველობის დროს სულ მაღალ თანამდებობებზე იყო, ვიდრე პატრონმა 1998 წლის დასაწყისში მგლის ბილეთით არ მოისროლა პოლიტიკურ სანაგვეზე. ამის შემდეგ, იგი განსაკუთრებით გააქტიურებულა პოლიტიკურ არენაზე „ოცნების“ გამოჩენის შემდეგ. მე ვიყავი მათი მთავარი იდეოლოგი აჭარაშიო და ახლა არაფრად მაგდებენო, წუწუნებს.

რა გამოდის – ა. აბაშიძის ხელისუფლებას შ. ზოიძე არ უნდოდა, ნაციონალებს ახლოსაც ვერ მიეკარა, არც „ოცნებამ“ დაუფასა გარჯა. ახლა როგორ გინდა, გააგებინო შოთას, რომ პრობლემა საკუთრივ მასშია და არა სხვაში.

დავუბრუნდეთ აჭარის ახალი ხელისუფალის თემას. დავემესიჯე და დამირეკაო, იმედიანად გვამცნობს შ. ზოიძე. მას ერთ რჩევას მივცემ – როცა ტელეფონს აღარ გაუხსნიან, ჩემი ეს სიტყვები გაიხსენოს: შოთა შენმა მატარებელმა ჩაიარა (თუმცა, არც არასდროს მჯდარხარ ამ მატარებელში) და არავის აღარ სჭირდები ინტრიგანი, დემაგოგი და მით უმეტეს, პოლიტიკაში არაერთგზის ხელმოცარული ბერიკაცი.

წერილში შ. ზოიძე პოლიტიკოსის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „პოლიტიკოსობას სჭირდება ნახევარი სიმართლე და ნახევარი სიცრუე“ (ამ აბდა-უბდის წყაროსაც ხომ არ დაასახელებდა?). იგი აგრძელებს, რომ არც თვითონ და არც მე პოლიტიკოსები არა ვართო, რადგან ის (ე.ი. მ.მახარაძე) სულ ცრუობს, მე კი სულ სიმართლეს ვამბობო.

თუ როგორ „სიმართლეს“ ლაპარაკობს შ. ზოიძე, ამას გზადაგზა შევიტყობთ. ახლა ცოტა სხვა მხრივ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას. აგერ ახლა ვნახეთ, თუ როგორი აპლომბით აცხადებდა პოლიტიკოსი არა ვარო. არადა, თითქმის 7 წლის განმავლობაში მაღალი პოლიტიკური სტატუსის მქონე თანამდებობები ეკავა აჭარაში: აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარის არ-ის უზენაესი საბჭოს ორი მოწვევის (1991-1996 და 1996-2001 წლები)დეპუტატი და აჭარის არ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ამის გარდა, 2008 და 2012 წლებში შ. ზოიძე კენჭს იყრიდა საქართველოს პარლამენტში. მისივე აღიარებიდან ლოგიკურია კითხვა: დავანებოთ თავი ჩამოთვლილ თანამდებობებს, ვთქვათ და არ გინდოდა და ძალით დაგნიშნეს, მაგრამ არაპოლიტიკოსი პარლამენტში რაღას მილტვოდი? აქ სხვა პასუხი არ არის – ამნეზიით დაავადებული კაცის ლოგიკას მოკლებულ აზრებთან თუ ბოდვებთან გვაქვს საქმე.

არჩევნების თემას ამით ვერ მოვრჩებით. შ. ზოიძე არაერთ პუბლიკაციაში ბრალს სდებს ბათუმის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ბატონ ალიოშა ბაკურიძეს, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს უნივერსიტეტში ამომრჩევლებთან შეხვედრის საშუალება არ მომცაო. საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა, არაა გამორიცხული, იფიქროს, რომ ამ „დაბლოკვამ“ შ. ზოიძეს დააკარგვინა პარლამენტარის მანდატი. მსგავსი არაფერი. მაშინ, მან პარლამენტარობის რვა კანდიდატს შორის 383 ხმით მე-6 შედეგი აჩვენა ბათუმის საარჩევნო ოლქში, გამარჯვებულმა კი - 22 084 ხმა მიიღო (იხ. გაზ. „აჭარა“, 29 მაისი, 2016). უნივერსიტეტში შეხვედრა რომ ჩაეტარებინა, ამით ვითომ რამე შეიცვლებოდა?

თავმოყვარე ადამიანი ამ არჩევნებს საერთოდ აღარ ახსენებდა და პარლამენტზე ფიქრს თავიდან ამოიგდებდა. მაგრამ ზოიძე რის შოთაა და ეს, მისივე აღიარებით, აპოლიტიკოსი პერსონა კვლავ ჩაება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში და როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკი მარცხიც იწვნია. მაგრამ დაიწყო სასამართლოებში წანწალი და მანამ არ გაჩერდა, სანამ ორი ინსტანციის სასამართლომ არ გაამტყუნა.

შოთა ტყუილად იკატუნებს თავს, მე პოლიტიკოსი არა ვარო. ის ვაიპოლიტიკოსია, ხელმოცარული და ბინძური! სხვანაირად, ასეთ რამეებს კაცი ვერ იკადრებს, რასაც ის კადრულობს. შოთა პოლიტიკაში იმიტომაც არის ხელმოცარული, რომ მას პოლიტიკა მხოლოდ ბინძური თამაში ჰგონია.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკოსობას. მე ჩემს თავს მივაკუთვნებ ზომიერ პოლიტიკოსთა კატეგორიას. საერთო აღიარებით ჩემმა პუბლიკაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასლან აბაშიძის რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაში. 2004 წლიდან დღემდე საკმაო წარმატებით ვარ აქტიურ პოლიტიკაში.

ბოლო წერილში შ. ზოიძემ საქილიკოდ გაიხადა 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კოროსპონდენტის არჩევნებში ჩემი მონაწილეობა. მაშინ მე, 15-დან მივიღე 8 ხმა და მხოლოდ ერთი ხმა დამაკლდა მეორე ტურში გადასასვლელად. გამარჯვებულთან ვმეგობრობდი და ახლაც ვმეგობრობ. საერთოდ, კონკურსები და არჩევნები სპეციფიკურობით ხასიათდება და ხშირად არ ასახავს რეალობას. ამის რამდენიმე მაგალითი: აკადემიის არჩევნებში 2-3 ჯერ გააშავეს ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ და არიან: პაატა გუგუშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე და სხვები; 1988 წლების არჩევნებში გააშავეს ნიკო ჭავჭავაძე – მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ფილოსოფიის სახის მიმცემი. მან 7-დან 2 ხმა მიიღო და ვერ გახდა აკადემიკოსი. იმავე წელს წევრ-კოროსპონდენტის არჩევნებში, საზღვარგარეთ ყველა დროის ყველაზე აღიარებულმა ქართველმა ფილოსოფოსმა – მერაბ მამარდაშვილმა 17-დან მხოლოდ 1 ხმა მოიპოვა. სულ ახლახან გარდაცვლილი შესანიშნავი მეცნიერი ნოდარ ლომოური, არაერთი ცდის მიუხედავად, ვერ გახდა აკადემიის წევრი. მსგავსი მაგალითები ბევრია. ამ შედეგების გამო, ჩამოთვლილ მეცნიერთაგან რომელიმეს მეცნიერული კვალიფიკაცია განა ეჭვს იწვევს?

მე აკადემიკოსების შალვა ნუცუბიძისა და შალვა ხიდაშელის მეცნიერულ მემკვიდრეობას ვაგრძელებ ქართული ფილოსოფიის ისტორიაში და აგერ ორი ათეულ წელზე მეტია, ეს დარგი მიმყავს. სხვა თუ არაფერი, უშუალოდ ჩემი ძალისხმევით მომზადდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეული, რომელიც ორჯერ გამოიცა და მეცნიერებაში ეროვნული პრემიით აღინიშნა. აქედან გასაგები უნდა იყოს ჩემი ამბიციები აკადემიასთან მიმართებით.

მოდით ახლა ვიკითხოთ – რა ისეთი გამორჩეული პოეტია შ. ზოიძე, რომ რუსთაველის პრემიაზე იყრიდა კენჭს? ან რა ნამუსით აიღო სახელმწიფო პრემია, როცა ამ ჯილდოზე წარდგენილიც კი არ ყოფილან – ზურაბ გორგილაძე, ლადო სეიდიშვილი, ვახტანგ ღლონტი... სხვათა შორის, ისიც ვიცი, რა ტრიუკები ჩაატარა შოთამ ამ პრემიის მისაღებად.

ამნეზიის კიდევ ერთი მაგალითი. 20 წლის წინათ შოთა შესანიშნავ მეცნიერად მიხსენიებდა ჩემდამი კრიტიკულ წერილშიც კი. ახლა ჩემში, როგორც მეცნიერში, ეჭვი შეაქვს; მომიხსენიებს ფულესოფოსად, ენების არ მცოდნედ. თურმე ჩემმა თბილისელმა კოლეგამ, ჩემს მეცნიერებათა დოქტორის დიპლომზე იქილიკა და თურმე მაშინ შოთამ დამიცვა, იმ თბილისელის გვარი არ მახსოვსო (ვერც გაიხსენებს, რადგანაც რეალობაში მსგავსი არაფერი ყოფილა). ეხ შოთა, შოთა, შე გამოუსწორებელო ცრუპენტელავ! გითხრა საიდან გაქვს ეს ინფორმაციები? პირდაპირ გადმოწერილი გაქვს ბათუმელი, გარდაცვლილი პარტისტორიკოსის წერილიდან. იქ, უმაღლეს საბჭოში ჩემზე დოსიე რომ გქონდათ შედგენილი, ერთი მეც ჩამივარდა ხელში და კარგად ვიცი მაგ აზრების წარმომავლობა.

ენებთან ჩემი დამოკიდებულება და „ეჭვი“ ჩემს დიპლომზე სწორედ იმ პარტისტორიკოსს უწერია. ამასთან, რაღაცას უმალავ მკითხველს პარტისტორიკოსის ცილისწამებაზე ჩემი პასუხიდან, კერძოდ: მე 1979 წელს დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი და სამეცნიერო დანიშნულებით ვიყენებ გერმანულ შრომებს. სხვანაირად ჩემი სადოქტორო დისერტაცია ვერ დაიწერებოდა. რას ედები ღობე-ყორეს, გადაათვალიერე ჩემი შრომები ფილოსოფიაში და უმალ დარწმუნდები ამაში.

შ. ზოიძე ამაყად აცხადებს – მე ენები ვიცი და სუსტ ტექსტებს ლექსიკონით ვთარგმნი კიდეცო. მე კი, მოკრძალებულად აღვნიშნავ, რომ ლექსიკონის გარეშე მაქვს ნათარგმნი ისეთი რთული ტექსტები, როგორიცაა ვ. სოლოვიოვის – „მუჰამედი“ (გამოიცა ორჯერ) და ა. ლოსევის – „აღმოსავლური რენესანსი“ (გამოიცა სამჯერ).

შ. ზოიძე ცნობილია იმითაც, რომ თავის გამოსვლებში ყვება საკუთარ მითიურ დამსახურებებზე. ასეა ახლაც. მისი აღნიშვნით, მან გასხვისებას გადაარჩინა ბათუმის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი და, რაც მთავარია, უტყუარი ალღოთი გამოიცნო, რომ ამ საქმეში უნივერსიტეტის რექტორსა და პრეზიდენტის დედას შორის შუამავალი მე ვიქნებოდი. ჩემზე ამბობს: მე მას შევხვდი დავით თედორაძის კაბინეტში, ატირებული და შეშინებული მეხვეწებოდა, მე არაფერ შუაში ვარო. ტყუილების კასკადთან გვაქვს საქმე. პირველად მესმის, უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის დაუფლებას რომ ქალბატონი გიული ალასანია ცდილობდა.

რაც შეეხება დ. თედორაძესთან შეხვედრას, სიმართლეა და ეს ჩემი ინიციატივით მოხდა. უშუალოდ ბატონმა დავითმა გაუკეთა ამ შეხვედრას ორგანიზება და შოთა უბრალოდ იტყუება, თითქოსდა მე მას დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. შოთა აქ პატარა ხრიკს მიმართავს: თუკი მე პირველ წერილში აღვნიშნავდი, რომ ჩემთან ლამის აცრემლებული მოვიდა ფულის სათხოვნელად, მის მონათხრობში მე ვარ უკვე ატირებული. მზად ვარ, შევხვდეთ ბატონ დავითს და ვნახოთ, რას გაიხსენებს ის – შოთას ლუღლუღს, რედაქციამ დაამახინჯა ჩემი წერილიო თუ ატირებული როგორ ვიხვეწებოდი, მე არაფერ შუაში ვარო. აქვე, მაშინ შოთას ისეთი ფაქტი ვუთხარი, სახტად დარჩა. ამ ფაქტს კი საჯაროდ ვერ ვიტყვი, რადგანაც შ. ზოიძისგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი აზროვნება და მეტი პასუხისმგებლობა გამაჩნია.

საერთოდ, შ. ზოიძე ისეთ ტყუილებსა და ცილისწამებებს ავრცელებს ჩემს შესახებ, რომ მას გაზეთების ფურცლებიდან კი არ უნდა ვპასუხობდე, არამედ სასამართლოში უნდა მყავდეს მიყვანილი მოპასუხის როლში. ამას კი აზრი არა აქვს, რადგანაც მისი ადვოკატი უმალ აუფრიალებს მოსამართლეს შ. ზოიძის, როგორც შეურაცხადის ცნობას და ამაში მართალიც იქნება.

აბა შეურაცხადი თუ არა, მისთვის დამაზიანებელი ჭორები რატომ უნდა გაავრცელოს კაცმა. იგი დიდის ამბით აღნიშნავს, რომ ასლანმა გონიოს ხიდი და მწვანე კონცხის გვირაბი დატოვა, მ. მახარაძემ კი, მეჩეთები და მედრესეებიო.

ვიდრე ამ სისულელეს ადგილს მივუჩენდე, მინდა, აღვნიშნო: 2004 წლის მაისიდან ა. აბაშიძის თემა ჩემთვის დახურულია, რადგანაც მას საკუთარმა ხალხმა განაჩენი გამოუტანა. მაგრამ ოპონენტი მაიძულებს, კვლავ დავუბრუნდე ამ თემას.

შოთა ბათუმში ცნობილია თავისი სიძუნწით. მაგრამ ა. აბაშიძის გაკეთებულ საქმეებს თუ მიჩქმალავდა, ამას ვეღარ წარმოვიდგენდი. რატომ მარტო გონიოს ხიდი, შოთა? ხიდები მის დროს, მართალია არა 160, მაგრამ საკმაოდ ბლომად აშენდა. ევრორემონტი ჩაუტარდა უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს, აშენდა ჭადრაკის სახლი, მოეწყო შესანიშნავი მუზეუმი სხალთაში და სხვა. ასე რომ, რაც კარგია, იმაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ.

რაც შეეხება მეჩეთებსა და მედრესეებს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მეჩეთების აბსოლუტური უმრავლესობა ა. აბაშიძის მმართველობის პირველ 2-3 წელში ან აშენდა, ან ძველი შენობა შეკეთდა. მედრესეების ბუმი კი ბოლო წლე-

ბზე მოდის. ამ მოვლენებში პირადად მე არც ა. აბაშიძეს ვადანაშაულებ და არც დღევანდელ ხელისუფლებას. გავიხედოთ რა ხდება ისლამის სამყაროში და მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ საკითხს.

შ. ზოიძეს ერთიც უნდა ვკითხო: ხომ არ გაიხსენებდა 1991 წლის 22 აპრილს, ლენინის დაბადების დღეს, საბჭოთა კავშირის ჰიმნის ფონზე ვინ ჩაატარა ანტიქართული მიტინგი ბათუმში და ვინ იდგნენ ტრიბუნაზე ა. აბაშიძის უკან? ის მოლები აბაშიძის მოყვანილი იყო და არა ჩემი.

რა უცნაურია ეს ცხოვრება, 20 წლის წინათ ერთი ის პარტისტორიკოსი ქრისტიანობის დაცვაში მდებდა ბრალს, ახლა შ. ზოიძე ისლამის პროპაგანდას მაბრალებს. და ამას ზოიძე აკეთებს იმ პიროვნების მიმართ, ვინც კრიტიკულ დროს ისლამზე გამოაქვეყნა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე წერილები, რომლებიც შინაარსობრივად და საფუძვლიანობით არსებითად განსხვავდება ზოიძის მოგონილ და არაფრისმთქმელ დეკლარირებული განცხადებებისგან.

ჩემს წინა წერილში („ს.რ.“, 28 ივლისი, 2016) ვწერდი, რომ შ. ზოიძე რეალობას აცდენილი კაცია. აი, ამის მორიგი მაგალითი. მას ხშირად უთქვამს, როცა ასლანმა გაუტია, მე მისგან წამოვედიო. სიცრუეა! ა. აბაშიძემ შ. ზოიძე გამოაპანღურა. ახლა, როცა ა. აბაშიძის მოღვაწეობის დანაშაულებრივი ქმედებები საბოლოოდ გაირკვა, შ. ზოიძემ მისი ქება დაიწყო.

რამდენადაც ვიცი, წინა ხელისუფლების დროინდელმა სასამართლომ ა. აბაშიძეს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა დაუსწრებლად. სულ ახლახან კი, ახალი ხელისუფლების სასამართლომ ა. აბაშიძეს ერთი წლით დაუმძიმა სასჯელი და თანაც 130 000 ლარი დააკისრა დაზარალებულთა სასარგებლოდ. ის რამდენიმე მუხლით გაასამართლეს, მათ შორის, ასანიძეების თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გამო. ახლა გაიხსენოს შოთამ, თუ რის გამო დამიპირისპირდა. მაშინ, 1993 წლის შემოდგომაზე აბაშიძის ხელისუფლებამ ასანიძეების ოჯახების დაახლოებით 30 წევრი დააპატიმრა. მე ოთხ ქართველ მწერალს, მათ შორის შ. ზოიძეს, მივმართე, რეაგირება მოეხდინათ ამ უკანონობაზე. შოთა, რომ იტყვიან, ტანსაცმლიანად გადაირია და დაგმობა კი არა, ამ ფაქტის გამართლება დაიწყო. ახლა ვეკითხები შოთიკოს – ვინ ყოფილა მაშინ მართალი?

თუ დავუჯერებთ შ. ზოიძეს, მე უმაღლეს საბჭოში შპს მქონია გახსნილი, ბიუჯეტიდან ფულებს ვტეხავდი და იქიდან მდიდარი წამოვსულვარ. რა არის ეს, შუბლზე ძარღვგაწყვეტილობა თუ შეურაცხადობა? საიდან მოიტანა ეს სისულელე. რა საბუთი აქვს ამის? თუ შოთა მოქმედებს პრინციპით – მე დავაბრალებ და იმან იმართლოს თავი, ძალიანაც რომ მდომებოდა, ამას ვერ შევძლებდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე არავითარი შეხება არ მქონდა ფინანსებთან. მოკლედ, ეს არის შ. ზოიძის მორიგი ამორალური, უტიფარი და ყოველგვარ ზღვარს გადასული საქციელი. ერთი კია, შოთამ ჩემი სიმდიდრის „აღმოჩენით“ შეიძლება გინესების რეკორდების წიგნსაც გამოკრას ხელი.

შ. ზოიძის კიდევ ერთი აშკარა სიცრუის შესახებ. ის დიდის ამბით აცხადებს, რომ 9 წლის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი და უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით გამომიშვესო. რა 9 წელზეა ლაპარაკი, მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს. სინამდვილეში, შ.ზოიძე 9 დღეც კი არ ყოფილა უმუშევარი, რაზედაც ნათლად მეტყველებს 2015 წლის 15 ივნისს საკუთრივ მის მიერ შედგენილი და ხელმოწერით დადასტურებული ანკეტა, სადაც შავით თეთრზე წერია:

2003-2006 წწ. – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

2006-2009 წწ. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2010-2010 წწ. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

2013 წ. – დღემდე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მ/თანამშრომელი.

მკითხველო, ჩანს აქ სადმე 9-წლიანი უმუშევრობა?

იქნებ საჯარო სამსახურს გულისხმობს შოთა? ეს ხომ აბსურდია! ასეც რომ იყოს, მაშინ 1998-2003 და 2012 წლის შემდეგ პერიოდი სად მიაქვს და რატომ არ მიათვლის იმ „9-წლიანი“ უმუშევრობის ხანას.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას: შ. ზოიძე 2010 წლის 22 თებერვალს აირჩიეს სრულ პროფესორად და იმავე წლის 1 ოქტომბერს სრულიად დაუმსახურებლად გადაიყვანეს ემერიტუსად (ამაში დასარწმუნებლად საკმარისია პროფესორ-ემერიტუსად გადაყვანის წესდების თვალის უბრალო გადავლება). ამ დროიდან ის პროფესორ-ემერიტუსია და ვიდრე 2013 წელს ის კვლევით ინსტიტუტში დაიწყებდა მუშაობას, ვერ ჩაითვლებოდა უმუშევრად, რადგანაც ჯერ ერთი, პენსიონერი იყო და მეორე – პროფესორ-ემერიტუსი.

შ. ზოიძე წერს, რომ პოლიტიკური ნიშნით უნივერსიტეტიდან გამომიშვესო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას მხედველობაში აქვს ემერიტუსად გადაყვანა. ჩემი ღრმა რწმენით, აქ სტუდენტებთან ურთიერთობის პრობლემა იყო უფრო. ეს არც არის გასაკვირი, მან ხომ სალექციო პრაქტიკა იმ ასაკში დაიწყო, რა ასაკშიც სხვები ძირითადად ამთავრებენ. აქედან გამომდინარე, შ. ზოიძის ემერიტუსად გადაყვანა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან, უფრო სიტუაციის განმუხტვით იყო ნაკარნახევი.

პოლიტიკა რომ ყოფილიყო ჩარეული, მაშინ 2006 წელს შ. ზოიძე ვერ გახდებოდა ასოცირებული პროფესორი. საერთოდ, ვის დაკარგვია და ვის ახსოვდა იგი, მით უმეტეს, როგორც პოლიტიკოსი.

არის თუ არა ასეთი აზრები პათოლოგიური ცნობიერების ლოგიკას მოკლებული მსჯელობები!

ასევე სრული სიცრუეა, თითთქოსდა მისი ნათესავები დასამართლომ ა. აბაშიძეს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა დაუსწრებლად. სულ ახლახან კი, ახალი ხელისუფლების სასამართლომ ა. აბაშიძეს ერთი წლით დაუმძიმა სასჯელი და თანაც 130 000 ლარი დააკისრა დაზარალებულთა სასარგებლოდ. ის რამდენიმე მუხლით გაასამართლეს, მათ შორის, ასანიძეების თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გამო. ახლა გაიხსენოს შოთამ, თუ რის გამო დამიპირისპირდა. მაშინ, 1993 წლის შემოდგომაზე აბაშიძის ხელისუფლებამ ასანიძეების ოჯახების დაახლოებით 30 წევრი დააპატიმრა. მე ოთხ ქართველ მწერალს, მათ შორის შ. ზოიძეს, მივმართე, რეაგირება მოეხდინათ ამ უკანონობაზე. შოთა, რომ იტყვიან, ტანსაცმლიანად გადაირია და დაგმობა კი არა, ამ ფაქტის გამართლება დაიწყო. ახლა ვეკითხები შოთიკოს – ვინ ყოფილა მაშინ მართალი?

თუ დავუჯერებთ შ. ზოიძეს, მე უმაღლეს საბჭოში შპს მქონია გახსნილი, ბიუჯეტიდან ფულებს ვტეხავდი და იქიდან მდიდარი წამოვსულვარ. რა არის ეს, შუბლზე ძარღვგაწყვეტილობა თუ შეურაცხადობა? საიდან მოიტანა ეს სისულელე. რა საბუთი აქვს ამის? თუ შოთა მოქმედებს პრინციპით – მე დავაბრალებ და იმან იმართლოს თავი, ძალიანაც რომ მდომებოდა, ამას ვერ შევძლებდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე არავითარი შეხება არ მქონდა ფინანსებთან. მოკლედ, ეს არის შ. ზოიძის მორიგი ამორალური, უტიფარი და ყოველგვარ ზღვარს გადასული საქციელი. ერთი კია, შოთამ ჩემი სიმდიდრის „აღმოჩენით“ შეიძლება გინესების რეკორდების წიგნსაც გამოკრას ხელი.

შ. ზოიძის კიდევ ერთი აშკარა სიცრუის შესახებ. ის დიდის ამბით აცხადებს, რომ 9 წლის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი და უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით გამომიშვესო. რა 9 წელზეა ლაპარაკი, მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს. სინამდვილეში, შ.ზოიძე 9 დღეც კი არ ყოფილა უმუშევარი, რაზედაც ნათლად მეტყველებს 2015 წლის 15 ივნისს საკუთრივ მის მიერ შედგენილი და ხელმოწერით დადასტურებული ანკეტა, სადაც შავით თეთრზე წერია:

2003-2006 წწ. – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

2006-2009 წწ. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2010-2010 წწ. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

2013 წ. – დღემდე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მ/თანამშრომელი.

მკითხველო, ჩანს აქ სადმე 9-წლიანი უმუშევრობა?

იქნებ საჯარო სამსახურს გულისხმობს შოთა? ეს ხომ აბსურდია! ასეც რომ იყოს, მაშინ 1998-2003 და 2012 წლის შემდეგ პერიოდი სად მიაქვს და რატომ არ მიათვლის იმ „9-წლიანი“ უმუშევრობის ხანას.

ითხოვეს სამსახურებიდან. მოკლედ, აქაც სიცრუით ცდილობს, შ. ზოიძე წამებულის გვიგვინი დაიდგას.

ერთ ამბავშია შ. ზოიძე, თითქოს ის დაესწრო ჩემს საჯარო ლექციას უნივერსიტეტში და შეწუხდა ლექციის დაბალი დონით. მორიგი ტყუილია. მე კარგად მახსოვს ცნობილი ადამიანებიდან ვინ მესწრებოდა და ჩემი ასეთი „კეთილმოსურნის“ იქ ყოფნა როგორ გამომრჩებოდა. ამ შემთხვევაში ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ისეთი მაღალი რანგის მეცნიერთა დადებითი შეფასებები, როგორებიც არიან პროფესორები - ანზორ დიასამიძე და ნოდარ ბარამიძე, ვიდრე შ. ზოიძის ჰალუცინაციები.

სხვათა შორის, ეს თემა – „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ზნეობის საკითხები“ 2007 წლის მარტში წავიკითხე ტრაპიზონის ტექნიკურ უნივრსიტეტში. ჩემი გამოსვლა გააშუქა სტამბოლის რამდენიმე ტელევიზიამ, ხოლო ტრაპიზონის მედიასაშუალებებში გაშუქდა, როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში.

შ. ზოიძე აღნიშნავს, რომ მე ბათუმის უნივერსიტეტის რექტორობა მინდოდა, მაგრამ „ვერ მიმასუნინეს“ (სწორედ რომ „ცნობილი“ პოეტის, უფრო სწორად შოთას შესაფერისი ლექსიკაა!). ჩემზე ეს ჭორი 1992 წლის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ აჭარის ტელევიზიით გაავრცელა რუსეთში გასამართლებულმა ერთმა ქათმის ქურდმა. მაშინ შ. ზოიძე – აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარე შემპირდა პასუხის გაცემის საშუალებას მოგცემო, შევიდა მოადგილესთან და იქიდან კუდამოძუებული გამოვიდა და პირობის შესრულებაზე უარი მითხრა.

შარლატანის იარლიყსაც იმსახურებს შ. ზოიძე. 15 ივლისის წერილში ის ყვება, რომ 2012 წლის არჩევნებში ნაციონალებმა მხოლოდ 18 % აიღეს და ოცნებამ 42% დაუწერა და ამით სააკაშვილი იმპიჩმენტს გადაარჩინაო. ჯერ ერთი, მაშინ ყველაფერი ნაციონალების ხელში იყო და ოცნებას ვინ ეკითხებოდა მანიპულაციებს (ამ კაცს ტყუილის თქმის შნოც არა აქვს. შე კაი კაცო, თქვი ნაციონალებმა გააყალბეს არჩევნებიო. ამას ჭკუა უნდა, რის დეფიციტსაც ნამდვილად განიცდის შ. ზოიძე); მეორე: არჩევნების შემდეგდროინდელი კვლევები სტაბილურად აჩვენებს ნაციონალების 20-25 პროცენტს. ამას დაამატე ადმინისტრაციული რესურსი – 20 პროცენტი და ყველაფერი გასაგები გახდება.

შ. ზოიძის შარლატანობის მეორე მაგალითი. იგ წერს, რომ მე ბათუმში 27 000 თურქი ჩავწერე. ამასთან, ნამუსს მინახავს და არაფერს ამბობს – თუ რამდენი ავიღე ერთი კაცის ჩაწერაში... ეს, სხვათა შორის.

ისე კი, წარსულში ჩაკირულ-ჩაცემენტებულ შ. ზოიძეს შევახსენებ, ჯერ ერთი: ქალაქში ჩაწერა ქალაქის საბჭოსა თუ მერიის პრეროგატივაა და არა უმაღლესი საბჭოსი; მეორეც – 2005 წლიდან საქართველოში გაუქმებულია ჩაწერის ინსტიტუტი და თუ მის ინფორმაციას რაიმე სიახლოვე აქვს რეალობასთან, მაშინ ორმაგი მოქალაქეობა იგულისხმება აქ. რა შუაშია მიხეილ მახარაძე – აჭარის არ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე? მაგრამ შარლატანი რის შარლატანია ასეთ ვითარებას რომ გაუწიოს ანგარიში!

შ.ზოიძე დიდი უმადური კაციცაა. ბათუმის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ა. ბაკურიძემ გაუკეთებელი, შეუძლებელი გაუკეთა, მაგრამ მისი გული მაინც ვერ მოიგო. შ. ზოიძემ თავდაპირველად სრული პროფესორის კონკურსი ვერ გაიარა, რექტორმა მეორედ გამოუცხადა კონკურსი და ასე გახდა პროფესორი; 7 თვეში კი, ისე რომ, ამას არ იმსახურებდა (ვერ აკმაყოფილებდა პირობებს), პროფესორ-ემერიტუსად გადაიყვანა (ახლა განცხადება ჰქონია შეტანილი, როგორც გამორჩეულ პროფესორ-ემერიტუსს სხვებთან შედარებით მეტი ხელფასი დამინიშნეთო).

აქვე რამდენიმე სიტყვა ა. ბაკურიძეზე. ის 7 წელი იყო უნივერსიტეტის რექტორი და ბევრი სასიკეთო გააკეთა ამ დაწესებულებისთვის. მის შესახებ ამ ტონით ლაპარაკი, როგორც ამას შ. ზოიძე აკეთებს, მხოლოდ უღირს ადამიანს შეუძლია.

შემდეგ შ. ზოიძემ აუტალახა კარები ცალკე ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს, ცალკე ა. ბაკურიძეს და ბოლოს და ბოლოს შტატიც დაითრია კვლევით ინსტიტუტში. ა. ბაკურიძე მატერიალურადაც ეხმარებოდა მას, მაგრამ შოთასნაირი უმადური კაცისთვის ეს არაფერს ნიშნავს. ის შანსს არ უშვებს ხელიდან ა. ბაკურიძის დისკრედიტაციისთვის. ასევე იქცევა ქალ-ნ შ. ფუტკარაძის მიმართაც. მის განყოფილებში მუშაობს, მის პირდაპირ უკავია მაგიდა, იქვე აცხობს პასკვილებს და მათში სხვებთან ერთად ლანძღავს ქალ-ნ შუშანას ძმას.

წერილში შ. ზოიძე ლაპარაკობს ვარშალომიძის რეჟიმზე. სულ ახლახან გავიგე, რომ 11 წლის წინ მან ბატონ ლევანს „დანოსი“ წარუდგინა ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარ რედაქტორ სანდრო ბერიძეზე (თან სანდროს ძმობას ეფიცებოდა) და „ძვირფასო ბატონო ლევან!“ ასე მიმართავდა მთავრობის თავმჯდომარეს, ხოლო ამთავრებდა ასე: „რწმენით, იმედით, პატივისცემით, შ.ზოიძე“.

ამავე პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ შ. ზოიძეს მოუტყუებია ცნობილი ქართველი მწერლები (ა. კალანდაძე, მ. მაჭავარიანი, გ. დოჩანაშვილი, თ. ჭილაძე და სხვები), ტელეფონში სხვა ტექსტი უთქვამს და დაუთანხმებია ხელის მოწერაზე, სინამდვილეში კი სხვა ტექსტი გამოაქვეყნა, სადაც მოთხოვნა იყო, რომ სამწერლო ჟუნალ „ჭოროხის“ ნაცვლად ყოფილიყო „ლიტერატურული აჭარა“. ამ ხრიკის მთავარი მიზანი კი ის იყო, რომ სახელგადარქმეული ჟურნალის მთავარ რედაქტორად შ. ზოიძე მოვლენილიყო.

ყველაფერი ეს ნათლად არის წარმოჩენილი სანდრო ბერიძის წერილში – „თიმსალ-მაკოს ოინები“ (გაზეთი „აჭარა P.S.“. 21 ივლისი, 2005), სადაც შ. ზოიძე მოხსენიებულია, როგორც: „ცრუ“, „დაპანღურებული“, „ცრუ ერისკაცი“, „მატყუარა“, „ორპირი“, „პასკვილიანტი“, „კალენდარს ჩამორჩენილი“, „დროში ჩარჩენილი“ და სხვა. შ. ზოიძემ ამ წერილს ვერ უპასუხა.

ს. ბერიძის წერილში არის ასეთი ინფორმაციაც: **„შ. ზოიძე იყო ბატონი მიხეილ მახარაძის მშობლიური სოფლიდან სამარცხვინოდ მოკვეთის მცდელობის ინიციატორი, ორგანიზატორი და მის წინააღმდეგ უბინძურესი წერილებისა და პასკვილების ავტორი“.**

თავის დროზე ამის თაობაზე ეჭვები მეც მქონდა. აქ მხოლოდ ერთი რამ არის საკითხავი – ამ საქმეების შემოქმედი როგორ და რა ნამუსით მოვიდა ჩემთან კაბინეტში...

წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ სტუდენტები უკმაყოფილონი იყვნენ შ. ზოიძის ლექციებით, რადგანაც ის ძირითადად ხოტბას ასხამდა სტალინს. საპასუხოდ იგი წერს, რომ პროგრამის ზემოთ სტუდენტებს ლექტორი შეიძლება ესაუბროს სტალინზე, ჰიტლერზე, მუსოლინზე და სხვა. როცა სათაყვანებელ სტალინს ჰიტლერის, მუსოლინის, გებელსისა და სხვათა გვერდით აყენებ, აქ კომენტარი ზედმეტია!

შ. ზოიძე ვინ არის, სტალინით აღფრთოვანებული იყვნენ გოგლა ლეონიძე, ალექსანდრ ტვარდოვსკი,... დიდი ბრაზილიელი მწერალი ჟორჟ ამადუ, ჩილელი ნობელიანტი – პაბლო ნერუდა (ამ ორმა ბოლოს მოინანია) და სხვები. მაგრამ ისეთი მკრეხელობა არავისთან არ ამმიკითხავს, როგორც ეს შ. ზოიძის მიერ შემოთავაზებულ ამონარიდშია მისივე ლექსიდან: „მე ღარიბი ვარ, როგორც სტალინი, როგორც იესო, მე ღარიბი ვარ“. ეს „მე ღარიბი“ რომ შ. ზოიძეა, ამის გამოცნობა ძნელი არ არის. ისე კი – სად იესო, სად სტალინი და მით უმეტეს, სად შოთა ზოიძე!!!

თავის წერილებში შ. ზოიძე ხშირად ახსენებს სააკოვს. საკოვს ნუ ემსახურებიო, მამუნათებს; ეს მიშა (მე – მიხეილ მახარაძე) სააკოვ მიშაში არ შეგეშალოთო და სხვა. რა არის ეს? ქსენოფობია?... სულაც არა! ეს მდაბიო ადამიანის პათოლოგიური აზროვნების ნაყოფია, რასაც, არა მგონია, მომხმარებელი ჰყავდეს. რას ვიზამთ, ნამდვილი შოთა ზოიძე ეს არის და მისგან გესლისა და შხამის ემანაცია (გადმოღვრა), მისი პერსონის არსი და აუცილებელი ნაწილია.

მიხეილ მახარაძე,
ლიტერატურაში (პუბლიცისტიკა) სახელმწიფო, ფილოსოფიაში აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობის და მეცნიერებაში ეროვნული პრემიების ლურეატი.

P. S. ეჭვი არ მეპარება, რომ შ. ზოიძე არ გაჩერდება და მორიგ ინსინუაციებს შემოგვთავაზებს. ვეცდები, არა თუ ვუპასუხო, არც წავიკითხო მისი მორიგი პასკვილი. მით უმეტეს,რომ გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს გასაკეთებელი და არ ვაპირებ ამ მოცლილ კაცთან დროის ფუჭად ხარჯვას.

ამასთან, გაზეთის რედაქციასთან ერთი თხოვნა მაქვს: სხვას ყველაფერს დავანებოთ თავი და შ. ზოიძემ ახსნას თავისი უკიდეგანო სიცრუე, კერძოდ - რას გულისხმობს თავის 9-წლიან „უმუშევრობაში“.

მ. მ.

ᲒᲐᲝᲠᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲘ

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“ აგრძელებს ზაფხულის ტურისტული სეზონის შეჯამებას. როგორც აღმოჩნდა, რაჭის შემდეგ, არანაკლებ პოპულარული სვანეთია. რეგიონის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გაუმართავი წყალგაყვანილობის სისტემების და დასუფთავების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, სვანეთს წელს დამსვენებლების გაორმაგებული რაოდენობა სტუმრობს.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი კაპიტონ (კახა) ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ წელს სვანეთში ტურისტების ნაკადი შარშანდელთან შედარებით გაორმაგებულია. კერძოდ, მესტიაში არც ერთ საოჯახო სასტუმროში ადგილი არ არის. მესტიის გამგებელი ამბობს, რომ ტურისტების ძირითად ნაწილს უცხოელები წარმოადგენენ. მათ შორის არიან უკრაინელები, პოლონელები, ებრაელები, შვეიცარიელები და ფრანგები.

სვანეთის მიმართ ასეთ დიდ დაინტერესებას მესტიის გამგებელი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ წარმატებით ჩატარებულ სარეკლამო სამუშაოებს უკავშირებს. მათ შორისაა CNN-ზე გაკეთებული სიუჟეტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ სვანეთი ტურისტული აღმოჩენაა.

მიუხედავად გაორმაგებული ტურისტული ნაკადისა, მესტიის გამგებელი რეგიონში არსებულ პრობლემებზეც საუბრობს. მისი თქმით, იმის გამო, რომ სვანეთს არასაკამარისი ბიუჯეტი აქვს, დასუფთავების პრობლემა მხოლოდ მესტიაშია მოგვარებული. სხვა დანარჩენ სოფლებში ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

ჟორჟოლიანი ამბობს, რომ დასუფთავების პრობლემის მოგვარება საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. **„სახელმწიფო მიმდინარე წლის სექტემბრიდან გვპირდება, რომ მოგვცემს 3 ნაგვის მანქანას და 163 ნაგვის ურნას. თუმცა, მარტო ამის მოვლა-შენახვას წელიწადში 1.6 მილიონი ლარი სჭირდება. ეს კი მთლიანად არის სვანეთის ბიუჯეტი. ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს. ჩვენ დასუფთავების ნაწილში ბიუჯეტი დაგვხვდა 168 000 ლარამდე, წელს კი ეს თანხები 500 000 ლარამდე გავზარდეთ“** — აცხადებს ჟორჟოლიანი.

მესტიის გამგებელი ამბობს, — იმისთვის, რომ სვანეთმა კიდევ უფრო მეტ ტურისტს უმასპინძლოს, აუცილებელია რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტები გაიზარდოს. მისი თქმით, ამ დროისთვის სვანეთში 119 საოჯახო ტიპის სასტუმროა, თუმცა ეს საკმარისი არ არის. გარდა ამისა, როგორც ჟორჟოლიანი აცხადებს, მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემები.

ჟორჟოლიანი სვანეთის საინვესტიციო მიმზიდველობაზეც აკეთებს აქცენტს და აცხადებს, რომ დღემდე რეგიონში ინვესტირებით საკმაოდ ბევრი ბიზნესმენი იყო დაინტერესებული, თუმცა, რეალური არაფერი ხდებოდა. როგორც მესტიის გამგებელი განმარტავს, მას შემდეგ, რაც მოწესრიგდა მიწის რეგისტრაციის საკითხი და ის მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გამარტივებული წესით იქნება შესაძლებელი, ძალიან ბევრი ინვესტორი სვანეთში ფულს ჩადებს. ჟორჟოლიანი განმარტავს, რომ მათ შორისაა, ინდოელ ინვესტორთა ჯგუფი, რომლებიც სვანეთში 8-9 სექტემბერს ჩავლენ.

სასტუმრო „უშბას“ ხელმძღვანელი **თამარ კვიციანი** ამბობს, რომ ტურისტების რაოდენობა გაორმაგებულია.ამის მიზეზი კი სასტუმროში არსებული მომსახურების მაღალი სტანდარტია.

მისი თქმით, ტურისტების უდიდესი ნაწილი უცხოელები არიან. სასტუმროში დასვენების საშუალო ფასი კი 35-40 ლარია (1 დღე 2-ჯერადი კვებით).

მესტიაში საოჯახო სასტუმრო „ნელის“ ხელმძღვანელი **ნელი ჯაფარიძე** განმარტავს, რომ სასტუმრო ამ დროისთვის სრულად დატვირთულია. დამსვენებლების ნაწილი ქართველია, ნაწილი-უცხოელი.ჯაფარიძე ამბობს, რომ ვიზიტიორების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია.

სოფელ ჭუბერში საოჯახო სასტუმრო „ნენსკრას“ ხელმძღვნელი **შოთა ცინდელიანი** ამბობს, რომ ამჟამად სახლი კერძო კომპანიაზე აქვს გაქირავებული და ტურისტებს თავად აღარ იღებს. მიუხედავდ ამისა, აქვს ინფორმაცია, რომ დამსვენებლები წელს სოფელ ჭუბერით აღარ ინტერესდებიან და უპირატესობას მაინც მესტიას ანიჭებენ. როგორც ცინდელიანი ამბობს, სოფელში მოგვარებულია სისუფთავის და ინფრასტრუქტურის საკითხები.

საოჯახო სასტუმრო „სეტის“ ხელმძღვანელი **თეა ცინდელიანი** ამბობს, რომ წელს ტურისტების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია. დამსვენებლების ძირითადი ნაწილი კი უცხოელები არიან. როგორც ცინდელიანი განმარტავს,მესტიაში თანდათან მრავლდება კვების ობიექტები და მოწესრიგებულია სისუფთავის პრობლემებიც.

მისი თქმით, სასტუმრო „სეტიში“ 1 ადამიანის დასვენება 2 ჯერადი კვებით 50-60 ლარი ჯდება (1 დღე).

ᲡᲝᲤᲝ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ

ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ, პორტუგალია, იტალია და სხვა მზიანი ევროპული ქვეყნები ტურისტებს მეტად იზიდავენ. ახალი ტენდენციის მიზეზი მარტივია: ტერორიზმის საფრთხე. ბოლო პერიოდში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების გამო ტურისტები ახალ მიმართულებებს ეძებენ. მსოფლიოს მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს ხელმძღვანელმა დევიდ სქაუსილმა CNNMoney-ს განუცხადა, რომ ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში გასულ წელთან შედარებით ტურისტების რაოდენობა 20-30%-ით გაიზარდა.

„ადამიანები დასასვენებელი ადგილის შერჩევისას ყურადღებას უსაფრთხოების დონეს აქცევენ,“ — აღნიშნა სქაუსილმა. ტერორისტული თავდასხმების შედეგად ადამიანთა ოცნებები, საკუთარი თვალით ენახათ პირამიდები გიზაში, ეიფელის კოშკი პარიზში, ტუნისის ზღვის სანაპირო და აია-სოფია სტამბოლში, დროებით განუხორციელებელი დარჩა. ტურისტების ნაკადების მხრივ ყველაზე მეტად ეგვიპტეა დაზარალებული. გაეროს მონაცემებით, ქვეყანას გასულ წელთან შედარებით 50%-ით ნაკლები ტურისტი ეწვია. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი რეპუტაცია ბოლოდროინდელი თავდასხმების შედეგად მნიშვნელოვნადაა შერყეული.

არსებული ვითარებით ისეთი ქვეყნები სარგებლობენ, როგორებიც იტალია, ესპანეთი და პორტუგალიაა. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიხედვით, ესპანეთი ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ქვეყნებს შორის მესამე ადგილს იკავებს, იტალია კი მეხუთეს. ბრიტანეთის ტურისტული აგენტების ასოციაციის წარმომადგენელმა, შონ ტიპტონმა CNNMoney-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ ესპანეთი ტურისტების რეკორდულ რაოდენობას ელის. კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც სტატიაში მოხვდა, ბულგარეთია. დევიდ სქაუსილის შეფასებით, საბერძნეთისა და თურქეთის მოსაზღვრედ მდებარე ქვეყანას შავი ზღვის გასწვრივ შესანიშნავი სანაპირო აქვს.“ „ბულგარეთი თანდათანობით პოპულარულ ტურისტულ ქვეყნად გადაიქცევა,“ — განაცხადა სქაუსილმა.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. **თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27 852	53.12.32.133	10 000	3000	1000	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	21 962	53.12.32.132	8 800	2640	880	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2016 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 30 სექტემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 30 სექტემბერს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ 316-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, ტელ: 0350 — 23 — 21- 90.

გამგებელი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უცნობი გენერალისიმუსი...

დახვედრა მოლოტოვთან ბერლინის ვაგზალზე. 1940წ. ნოემბერი

სტალინის საათი და ყალიონი

რამდენიმე დღის შემდეგ მხვდება სტალინის დაცვის უფროსი – გენერალი ვლასიკი:

– არ გამიჩინე შენც საფიქრალი!

– რა საფიქრალი, ნიკოლაი სიდოროვიჩ?

– გამომიძახა ამხანაგმა სტალინმა და დამავალა სასწრაფოდ საუკეთესო საათი მომეძებნა. მთელი მოსკოვი შემოვიარე და ბოლოს როგორც იქნა, მივაგენი ერთ რომელიღაც საწყობში, აი, ამ ქრონომეტრს. მივუტანე ამხანაგ სტალინს, ის კი მეუბნება – ეს ამხანაგ ჩადაევს გადაეცი იმ საათის სამაგიეროდო...

თვითონ სტალინს ამის შესახებ ჩემთვის ერთი სიტყვაც არასოდეს უთქვამს – გადაკრულადაც კი. არც ის უკითხავს, ის საათი მომეწონა თუ არა და, ცხადია, არც მე მიცდია იმ ამბის შეხსენება.

* * *

ჩადაევი კიდევ ერთ ამბავს მოგვიყვა, ამჯერად ყალიონის თაობაზე.

მისი სიტყვით, ფაშიზმზე გამარჯვების პირველსავე წლებში სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა, ამ წლებში გადატანილმა დაძაბულობამ თავი ბევრ რამეში იჩინა. ზოგიერთ რამეზე თავის შეკავება უწევდა, რასაც ექიმები დაბეჯითებით ურჩევდნენ. განსაკუთრებით პაპიროსის მიტოვებას ურჩევდნენ და მართლაც, მალე უკვე გაცილებით ნაკლებს ეწეოდა. დიდ ყალიონს პატარა ყალიონი შეენაცვლა, თუმცა, მოწევას მთლიანად თავი მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წელს დაანება...

ერთხელაც გამომიძახა სტალინმა და დამავალა, გადაწყვეტილების ცუდად მომზადებული პროექტი შემესწორებინა – მართალი გითხრათ, არ მახსოვს, ვისი მომზადებული იყო ის პროექტი.

– ვფიქრობ, მალე გადაამუშავებთ ამ დოკუმენტს, ამიტომაც, დაჯექით აი, აგერ მაგიდასთან და იმუშავეთ, – მითხრა სტალინმა.

ის-ისაა მუშაობას შევუდექი, რომ კაბინეტში მოლოტოვი, მიქოიანი და კაგანოვიჩი შემოვიდნენ. მათთან ერთად იყო პოლიტბიუროს კიდევ ერთი წევრი და სტალინთან ერთად ყველანი ჩაის დასალევად წავიდნენ.

– წასვლისას გამზადებული მასალა ჩემს მაგიდაზე დატოვეთ, – მითხრა იოსებ ბესარიონის ძემ.

საქმეს, მართლაც, ძალიან მალე მოვრჩი, კმაყოფილმა წელი გავმართე, გავიჭიმე, რომ უცებ ვიგრძენი, ფეხქვეშ რაღაც გაჩხაკუნდა, დავიხარე და ვხედავ იატაკზე პატარა ყალიონი გდია. ცხადია, მაშინვე მივხვდი, ვისიც იყო. ავიღე, ხელში შევატრიალ-შემოვატრიალე, კარგად დავათვალიერე და... ჯიბეში ჩავიდე.

ზუსტად მეორე დღეს ისევ შემხვდა გენერალი ნ.ს. ვლასიკი, მოდიო, თითით მანიშნა და მკითხა:

– ეს შენ წაიღე ამხანაგი სტალინის ჩიბუხი?

ვიცი, უარის თქმას აზრი არა აქვს და ვეუბნები – დიახ, მე წავიღე. მაგრამ, ყალიონი მაგიდის ქვეშ ეგდო და ვიფიქრე, ალბათ, აღარ სჭირდება-მეთქი.

– ო, შე ეშმაკო!... თუმცა, მესმის შენი, – შეინიშნა ვლასიკმა და რომ ნახა, როგორი შეცბუნებული ვიყავი, მეუბნება:

– კარგი, გქონდეს, სახსოვრად შეინახე... ამხანაგმა სტალინმა ბევრი ეძება და ზუსტად ასეთი იპოვა, ისე რომ...

მოლაპარაკება ბერლინში

გ.ა. კუმანევი: რა არის თქვენთვის ცნობილი, იაკობ ერმოლოვიჩ, ბერლინში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისრის – ვ.მ. მოლოტოვის ჰიტლერთან გამართული მოლაპარაკების შინაარსის შესახებ, 1940 წლის ნოემბერში. როგორ შეაფასეს მათ შორის შემდგარი მოლაპარაკება კრემლში? როგორია გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის ომის პერსპექტივა?

ი.ე. ჩადაევი: ეს ძალიან რთული და ფართო თემაა, ამიტომაც მოცემულ კითხვაზე პასუხისას დავეყრდნობი ჩემ მიერ პოლიტბიუროს იმ სხდომაზე სტალინისა და მოლოტოვის გამოსვლებზე გაკეთებულ ჩანაწერებს ბერლინის მოლაპარაკების შეფასების შესახებ.

1940 წლის ცხრა ნოემბრის დილას დამირეკა ნ.ა. ბულგანინმა და მითხრა, ამ საღამოს მივსულიყავი ბელორუსიის სადგურზე მოლოტოვის გასაცილებლად, რომელიც მიემგზავრებოდა მოსკოვიდან. სად მიდიოდა ის, როგორც საბჭოთა დელეგაციის მეთაური, ამის შესახებ მე მხოლოდ სადგურზე გავიგე, სადაც ელჩების ძალიან ბევრი პატარა ალმებიანი მანქანა იდგა. იყო ასევე უამრავი გამცილებელიც.

დანიშნულ დროს ბელორუსიის სადგურის ბაქნიდან ვირთული, ხოლო მეორე სათადარიგო, ოჟაისკის გზატკეცილზე დიდი სიჩქარით მიქროდა. სადღაც გზაზე, გოლიცინოსა თუ კუბინკის რაიონში, პირველ მანქანას ავარია მოუხდა, ჩემოდნები მეორე მანქანაში გადაიტანეს და გაერვიულებულ ელჩს ბარგი მშვიდობიანად ჩააბარეს – მე მგონი ვიაზმაში.

ოთხი დღის შემდეგ, ცამეტი ნოემბრის საღამოს, ნ.ა. ბულგანინმა ისევ მთხოვა მისვლა ბელორუსიის სადგურზე, ამჯერად უკვე მოლოტოვისა და საბჭოთა დელეგაციის დანარჩენი წევრების დასახვედრად. ბაქანზე თავი თითქმის მთელმა სახალხო კომისრებმა მოიყარეს, ბევრნი იყვნენ დიპლომატებიც. დამხვდურთა შორის გახლდათ ა.ი. მიქოიანი, ნ.ა. ბულგანინი და ლ.მ. კაგანოვიჩი... ჩამწკრივდა საპატიო ყარაული.

მატარებელი სადგურში ღამის თორმეტ საათზე შემოვიდა. მოლოტოვი ვაგონიდან დელეგაციის წევრის – საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის ი.ფ. თევოსიანის თანხლებით გადმოვიდა. მოლოტოვმა შლაპა მოიხადა, მიესალმა მიქოიანს, ბულგანინს, კაგანოვიჩს, სახალხო კომისრებს, დიპლომატებს და გასასვლელისკენ გაემართა.

* * *

თოთხმეტი ნოემბრის საღამოს მოწვეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც მოისმინეს მოლოტოვის სიტყვა ბერლინში გამართული მოლაპარაკების შედეგების თაობაზე. მე, ვინც დიდი ხანი არ არის, რაც სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობაზე დავიწყე მუშაობა, აღნიშნულ სხდომაზე დასწრება და ბევრი რამის ჩაწერა მომიწია.

აი, რა მოახსენა მოლოტოვმა დამსწრეებს ჰიტლერთან შეხვედრის შედეგების შესახებ დაწვრილებით:

„საუბარი ჰიტლერის გრძელი მონოლოგით დაიწყო, – აღნიშნა მოლოტოვმა, – უნდა ითქვას, ჰიტლერს ლაპარაკი ნამდვილად შეუძლია. მართალია, რაღაც ტექსტი მომზადებულიც ჰქონდა, მაგრამ ფიურერს არ უსარგებლია იმ ტექსტით. მისი სიტყვა თანაბრად, მწყობრად მიედინებოდა, ლაპარაკობდა გასაგებად, ყოველგვარი წაბორძიკების გარეშე. იმ მსახიობივით, რომელმაც შესანიშნავად იცის თავისი როლი, მკვეთრად წარმოთქვამდა წინადადებას წინადადებაზე, აკეთებდა პაუზებს თარჯიმნებისთვის... ჰიტლერის მსჯელობის მიზანი იყო ის, რომ დაემტკიცებინა, ინგლისი უკვე წელშია გატეხილი, მისი საბოლოო კაპიტულაცია უახლოესი მომავლის საქმეა, რომ მალე მას ჰაერიდან გავანადგურებთო. მერე მოკლედ მიმოიხილა საომარი სიტუაცია და ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანიის იმპერია უკვე აკონტროლებდა მთელ კონტინენტურ დასავლეთ ევროპას, რომ ის იტალიელ მოკავშირეებთან ერთად წარმატებით წარმართავდა ოპერაციას აფრიკაში, საიდანაც მალე სრულიად განდევნილები იქნებოდნენ ინგლისელები და ბოლოს დასძინა – მთელი ჩემი ამ საუბრის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი გამარჯვება უკვე ეჭვს გარეშეა. ამიტომაც, დადგა დრო როცა ჩვენი ამ გამარჯვების შემდეგ საჭიროა, ვიფიქროთ მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე... აქ ჰიტლერმა ასეთი იდეა განავითარა: დიდი ბრიტანეთის გარდაუვალი მარცხის შემდეგ დარჩება მისი უკონტროლო მემკვიდრეობა ანუ მთელ დედამიწაზე გაბნეული იმპერიის ნამსხვრევები, ამიტომაც აუცილებელია ამ „უპატრონოდ“ დარჩენილ ქონებაზე თადარიგის დაჭერა... გერმანიის მთავრობა უკვე მოელაპარაკა იაპონიის და იტალიის მთავრობებს და ახლა ვისურვებდი გამეგო, რას ფიქრობს ამის შესახებ საბჭოთა მთავრობა და რომ მას განზრახული აქვს, უფრო კონკრეტული წინადადებები ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით წარმოადგინოს“, – განაცხადა ბოლოს ჰიტლერმა.

მოლოტოვი წუთით შეჩერდა და განაგრძო:

– ჰიტლერის სიტყვის დამთავრების შემდეგ (მისი სიტყვა თარგმანთან ერთად დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა), სიტყვა ახლა მე უნდა ამეღო. ჰიტლერის მიერ წამოყენებული წინადადებების განხილვას არ შევდგომივარ, მივხვდი, რომ მსჯელობა უფრო კონკრეტულ და პრაქტიკულ საკითხებზე იყო საჭირო. კერძოდ, ხომ არ განმარტავდა რეიხკანცლერი, რას აკეთებს გერმანული სამხედრო მისია რუმინეთში და რატომაა ეს მიმართული იქით, საბჭოთა მთავრობასთან კონსულტაციის გარეშე, მაშინ როცა 1939 წელს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პუნქტი, ყველა იმ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით აუცილებლად ჩვენ კონსულტაციებსაც ითვალისწინებს... საბჭოთა კავშირის მთავრობას ასევე სურვილი აქვს, იცოდეს, რა მიზნით გაიგზავნა გერმანიის არმია ფინეთში? რატომ გადაიდგა ეს სერიოზული ნაბიჯი მოსკოვთან კონსულტაციის გარეშე?

(გაგრძელება იქნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩადაევის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

მოლოტოვი და ჰიტლერი მოლაპარაკების მაგიდასთან.

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157

◎ წინ, საქართველო!

„ოქროს“, „ბრინჯაოს“

ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელსაც ფრანგული მაკონი მასპინძლობს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა გახსნეს. ტურნირის პირველ დღეს წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა — ზაზა სილაგაძის შეგირდებმა 4-დან ორ წონაში მედლები მოიპოვეს. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სამტრედიელი გიორგი მელია (96), ხოლო ხობელი ნუგზარ წურწუმია (50) მესამე ადგილზე გავიდა. საგულისხმოა, რომ წლეულს ივნისში წურწუმიამ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მელიას კი ვერცხლის ჯილდო ერგო. მაკონში სამტრედიელმა ფალავანმა ოთხივე შეხვედრაში დამაჯერებლად გაიმარჯვა: საკვალიფიკაციო წრეში ისვენებდა, მერვედფინალში შვეიცარიელ დამიენ ფონ ეუს 4:0 მოუგო, მერე იაპონელ იუტა ნარას აჯობა — 7:1, ნახევარფინალში დაძაბულ პაექრობაში ამერიკელი ტრეის განგელო ჰანჩოკი დაამარცხა — 12:8. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ბელარუს არსენ სიჩევს სძლია 5:4 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

წურწუმია მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ფინალისტია — მაშინ ირანელთან დამარცხდა. ამჯერად ჩემპიონატში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება — უკრაინელი ვლადისლავ კოროსტილოვი ჩამოიშორა გზიდან — 4:1, მეორე წრეში ყაზახ ბაირჟან სადვოკასოვს 6:2 აჯობა, ნახევარფინალი უზბეკ იკომ ბაკრომოვთან 0:9 დათმო. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ირანელი მეჰდი სეიფულა მოსენ ნეჯადი 7:2 დაჯაბნა.

◎ ჭადრაკი

ბაქოში - 64-უჯრიან დაფებთან

აზერბაიჯანის **დედაქალაქში დღეს საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ქალთა 141 და ვაჟთა 173 ნაკრების მონაწილეობით. მათ შორის ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც იქნებიან.**

საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ საჭადრაკო ოლიმპიადებზე ოთხჯერ (1992, 1994, 1996, 2008 წ.წ.) გაიმარჯვა და სამჯერ (1998, 2000, 2010) პრიზიორი იყო, აზერბაიჯანის დედაქალაქში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, კაპიტანი დავით ჯოჯუა, მწვრთნელი ელიზბარ უბილავა. საშუალო რეიტინგით საქართველოს ნაკრები (2474) ოლიმპიადაზე მეოთხე იქნება. ჩვენებს უსწრებენ ჩინეთი — 2528 (ჰოუ იფანი, ჟაო სიუე, ცზიუ ვენძიუნი, თან ჟონი, გუო ძი), უკრაინა-2485 (ანა მუზიჩუკი, მარია მუზიჩუკი, ანა უშენინა, ნატალია ჟუკოვა, ინა გაპონენკო) და რუსეთი-2475 (ალექსანდრა კოსტენიუკი, ვალენტინა გუნინა, ალექსანდრა გორიაჩკინა, ნატალია პოგონინა, ოლგა გირია).

საქართველოს ვაჟთა ნაკრები (საშუალო რეიტინგი-2590, ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, თორნიკე სანიკიძე, მწვრთნელი და კაპიტანი ზურაბ სტურუა) განთესვით 21-ეა. რეიტინგ-ფავორიტია რუსეთის გუნდი-2760, მეორე ადგილზეა აშშ — 2740, მესამეზე — ჩინეთი (2735).

ჩვენს დიდოსტატებს ბაქოში გამგზავრების წინ გზა დაულოცეს სახელოვანმა მოჭადრაკეებმა — ნონა გაფრინდაშვილმა, ნანა იოსელიანმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, ევროპის საჭადრაკო კავშირის თავკაცმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: ქართველმა სპორტსმენებმა რიოს ოლიმპიურ თამაშებზე ისახელეს თავი — შვიდი მედალი მოიპოვეს. ახლა მოჭადრაკეთა ჯერია. ორივე ნაკრები უძლიერესი დიდოსტატებითაა დაკომპლექტებული. ასე რომ, მათგან მაღალ შედეგებს ველით.

გიორგი გიორგაძე: საჭადრაკო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდები კარგა ხანია მონდომებით ემზადებიან. ქალთა ნაკრებმა ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა თბილისსა და ბორჯომში. თეორიულად უკეთ მომზადების მიზნით, სახელოვანი ბულგარელი დიდოსტატი ალექსანდრ დელჩევი მოვიწვიეთ. ამას წინათ ვაჟთა ნაკრებმა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში დიდოსტატი ზურაბ სტურუა ავარჯიშებდა, აზერბაიჯანელებთან სტუმრად სპარინგ-მატჩი გამართა. ასე რომ, ჩვენები ოლიმპიადისთვის ყოველმხრივ მზად არიან.

ლექსო ცინცაძე

ოლიმპიელთა შემდეგ ქართული საზოგადოება ამჯერად ქართველ ქალ მოჭადრაკეთა ნაკრების წევრების ჩაცმულობამ აალაპარაკა.ფოტო, რომელიც სპორტსმენებმა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ გადაიღეს, განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა ინტერნეტ-სივრცეში.

სურათზე: საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ნაკრები. ვაჟა დანელიას ფოტო

◎ გზა დაელოცოთ!

ქართველი პარალიმპელები რიოში მიემგზავრებიან

გუშინ **თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში ქართველი პარასპორტსმენების გაცილების ცერემონია გაიმართა. პარალიმპელებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია შეხვდნენ და წარმატება უსურვეს. სპორტსმენთა პირველი ნაკადი ბრაზილიაში პარალიმპიადაზე საასპარეზოდ დღეს გაემგზავრება.**

რიოს პარალიმპური თამაშების ლიცენზია ხუთმა ქართველმა პარასპორტსმენმა მოიპოვა: პარამშვილდოსნობა — **ვანო წიკლაური** — გამოვა 10 სექტემბერს, 15.00 სთ; პარაძიუდო — **ზვიად გოგოჭური** — გამოვა 10 სექტემბერს, 10.00 სთ; წოლჭიმი (შტანგა) — **აკაკი ჯინჭარაძე** — გამოვა 13 სექტემბერს, 16.00სთ; პარაცურვა — **ლია ჩაჩიბაია** — გამოვა 14 სექტემბერს, 09.30სთ; ეტლით ფარიკაობა — **ირმა ხეცურიანი** — გამოვა 14 სექტემბერს, 09.00სთ.

პარალიმპური თამაშები 7-18 სექტემბერს პარასპორტის 23 სახეობაში გაიმართება.

პირველი შშმ პირთა საერთაშორისო შეჯიბრი 1960 წელს რომის XVII ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე გაიმართა, სადაც ერთდროულად რამდენიმე სპორტულ დისციპლინაში 23 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, 1989 წლიდან კი ჩამოყალიბდა საერთაშორისო პარალიმპური კომიტეტი. დღეს მის შემადგენლობაში შედის 177 ქვეყნის ეროვნული პარალიმპური კომიტეტი და 9 საერთაშორისო სპორტული ფედერაცია. პარალიმპელები მონაწილეობენ ზაფხულის და ზამთრის 31 სპორტულ დისციპლინაში. მათ შორისაა: მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ძალოსნობა (წოლჭიმი), ველოსპორტი, ეტლით კალათბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ჰოკეი, ეტლით ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი...

პირველად საქართველოს დელეგაციამ 2008 წლის პეკინის პარალიმპურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. ჩინეთში საქართველოს სახელით ერთი ათლეტი — იაგო გორგოძე ასპარეზობდა ძალოსნობაში და მე-8 ადგილი დაიკავა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„სიტიმ“ ნასრი ესპანეთში გაუშვა



„მანჩესტერ სიტის“ შემტევი ნახევარმცველი სამირ ნასრი მიმდინარე სეზონს ერთწლიანი იჯარის წესით ევროპა ლიგის მოქმედ ჩემპიონ „სევილიაში“ გაატარებს. როგორც Sky Sports-ი იუწყება, აღნიშნული შეთანხმება უკვე შედგა.

ასევე ცნობილი ხდება, რომ ლა ლიგის გუნდი ფრანგის ხელფასის 65%-ს გადაიხდის, ხოლო გამოსყიდვის უფლების დატოვება ესპანელებმა არ ისურვეს. „მანჩესტერ სიტის“ მიზანი ფეხბურთელის გაყიდვა იყო, თუმცა, სამირს კლუბთან კონტრაქტი 2019 წლის ივლისამდე აკავშირებს და ჯერჯერობით თავისუფალი აგენტი ვერ გახდება.

ნასრის ტრავმის გამო გასული სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა და არც მიმდინარე სათამაშო წელს აქვს კარგი სტარტი, რადგან მხოლოდ ერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ისიც — 15 წუთით.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სიყვარულს რას გაუგებთ...

ლამაზი **და თამამთა შორის უთამამესი ხორვატი მოდელის კატიცა რაკულიჩის ბედს ვისთან არ აკავშირებდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კატიცა ლამაზთან ერთად ნამეტნავად ცნობილი ასულიცაა და დედამიწის რომელ წერტილში არ უყვართ ცნობადი ლამაზმანები, რომლებსაც პოპულარობა კიდევ უფრო წყურიათ?**

მაგრამ თავისი არჩევანით კატიცამ ყველა გააკვირვა და გულისსწორად ნაკლებად ცნობილი ხორვატი ფეხბურთელი ანტონ ბარილიჩი გაიხადა, რომელსაც ჯერ არამხოლოდ დიდი წარმატებისათვის არ მიუღწევია, ხორვატეთის არც ერთი ასაკობრივი ნაკრების მაისური არ მოუზომავს.

მშვენიერი კატიცა იძახის, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით მოხდა და მისი არჩევანი არ განუპირობებია არც სქელ ჯიბეს და არც ცნობადობას. ისე, თანამედროვე ეპოქაში მსგავსი ამბები მართალაც იშვიათია. სიყვარულს რას გაუგებთ, ჩემო ბატონებო...

როსტომ რაჭველიშვილი

ეძებთ სამსახურს?..

სამუშაოს შოვნა დღესდღეობით ადვილი საქმე ნამდვილად არ არის, კარგისა კი — მით უმეტეს ძნელი. სამუშაოს ბევრ მაძიებელს ჰგონია, რომ, გამოცდილების უქონლობის გამო, ნორმალურ სამსახურში მოწყობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მაგრამ, ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ეს ასე სულაც არ არის. გამართულად შედგენილი რეზიუმეს პირობებში, სამსახურში მოწყობა დიდი პრობლემა არ არის.

რეზიუმეს შედგენა: მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ თქვენი მიზანი, დამქირავებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, რომელ თანამდებობაზე გსურთ მუშაობა; რეზიუმეს შედგენისას არ ღირს იმის თაობაზე წერა, რომ მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გაქვთ; აუცილებლად აღნიშნეთ თქვენი უნარ-ჩვევების შესახებ: მაინცდამაინც მაღალ ხელფასს ნუ მოითხოვთ; საკონტაქტო ინფორმაცია რეზიუმეს თავში უნდა გაიტანოთ, რადგან კადრების მენეჯერს თქვენი ტელეფონის ძებნაში მთელი რეზიუმეს წაკითხვა არ მოუწიოს;

ერთსა და იმავე რეზიუმეს ყველა ვაკანსიის დასაკავებლად ნუ გაგზავნით, საბუთები ეცადეთ დამსაქმებლის კონკრეტულ მოთხოვნებს მოარგოთ;

გასაუბრებაზე რომ წახვალთ, უმჯობესია, მორიდებულობა შინ „დატოვოთ“ და თქვენი ცოდნა ოდნავ „გაბეროთ“.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

სანთელი

მიხეილ (დიდიკო) სიორდია – 80

დღეს, პირველ სექტემბერს, შენი დაბადების 80 წლისთავია და მთელი შენი სანათესავო თუ სამეგობრო გულაჩუყებული ვიხსენებთ შენს მიერ ვაჟკაცურად განვლილ ცხოვრებისეულ გზას. ბევრი კარგი და ლამაზი დღე გავიხსენეთ შენთან ერთად გატარებული, რომელიც დღემდე მართლაც წარუშლელია ჩვენს მეხსიერებაში. განსაკუთრებით კი შენი შვიდი და-ძმისთვის, შენი ეკასთვის და მთელი ტექნიკური ინტელიგენციის წრეებისთვის, ვისთანაც ერთად იშრომე, იღვაწე და მთელი შენი ენერგია სიყვარულისა და მეგობრობის იდილიაში გაატარე, ახლა უფრო გაბედულად ვაცხადებთ, რომ კეთილშობილი, ნიჭიერი და დიდებული პიროვნება იყავი და ამიტომაც დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის ან დ მარადის.

შენი ყრმობის მეგობარი
ალეკო კაკულია

სახლში ყალბ ლარიანებს ამზადებდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტი გამოავლინა.

გამოძიებით დადგენილია, რომ წარსულში ანალოგიური დანაშაულისათვის ნასამართლევი გიორგი ხუციშვილი საკუთარ საცხოვრებელ სახლში, სპეციალურად მოწყობილი დანადგარის საშუალებით და სხვადასხვა ფერადი ლითონის შენადნობების გამოყენებით, ამზადებდა ერთი ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ყალბ ლითონის მონეტებს, რომელსაც შემდგომში სისტემატურად ასაღებდა საქართველოს მასშტაბით სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით, სხვადასხვა ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით.

საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაიკავა. მისი ავტომანქანისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული ლითონის ყალბი ერთლარიანი მონეტები.

გოდერძი თევზაძეზე ოფიციალური ძებნა გამოცხადდა

სამტრედიის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლი გოდერძი თევზაძე უკვე ოფიციალურად ძებნილია. მას სასამართლომ წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად გუშინწინ შეუფარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მას საქართველოს ტერიტორია დატოვებული არა აქვს. საქმეზე გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე მიმდინარეობს.

თევზაძე 22 წლის ახალგაზრდის თვითმკვლელობამდე მიყვანაშია ბრალდებული. დემურ სტურუას წამების ფაქტი ექსპერტიზამ უკვე დაადასტურა.

სოფლის სახლიდან გაუსვლელად

გაერო ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალიზებული საგენტოსა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ბოლო მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება. ამ მდგომარეობის არადამაკმაყოფილებლობის დასტურად შეიძლება ისიც ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, 90 პროცენტს აღემატება, ზოგან კი, სულაც 98-99 პროცენტს უტოლდება.

არადა, იმის მტკიცება, რომ თანამედროვე სამყაროში ინტერნეტი კარგა ხანია არა ფუფუნება, არამედ ელემენტარული კომუნიკაციის ყოველდღიურად აუცილებელი საშუალებაა, ნამდვილად ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. ამიტომაც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფონდ „ქართუს“ მიერ დაწყებული საქართველოს საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ნამდვილად ძნელია.

150 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტის ფრთაშესხმის შემდეგ, ინტერნეტი ქვეყნის ფაქტობრივად მთელი მოსახლეობისთვის გახდება ხელმისაწვდომი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ინტერნეტიზაციის დონის პროცენტული მაჩვენებელი გასაშუალებულია, რადგან მსოფლიო ქსელში ჩართულობის მხრივ ლომის წილი თბილისსა და ქვეყნის კიდევ რამდენიმე დიდ ქალაქზე მოდის, მხარეებში კი მისი დონე ძალიან დაბალია. ამდენად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანელ ექსპერტთა ყურადღების ფოკუსში, რომლებიც „ქართუს“ პროექტის განხორციელებაზე მუშაობენ, უწინარესად, სოფლის მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფაა.

პროექტის პირველი რიგის ფარგლებში ინტერნეტით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ათი მხარის დაახლოებით 500 სოფელი. მთლიანად კი, სამ წელიწადში დასახული გეგმის შესრულების შემდეგ, ინტერნეტი ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის ორ ათასზე მეტ სოფელში მცხოვრებ მილიონზე მეტ მომხმარებელს.



მისი ღირებულება, როგორც აღვნიშნეთ, 150 მილიონი დოლარია და მას, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუ“ აფინანსებს. ამასთან, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანალოგიური პროექტები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული გრანტების სახსრებით ხორციელდება.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია, რომლის დასრულების შემდეგ ქვეყანაში ინტერნეტის მომხმარებელთა ოდენობა 40 პროცენტზე მეტით გაიზრდება. საგულისხმო მომენტი უდავოდ ისიცაა, რომ სოფლის ბიბლიოთეკების ბაზაზე ადგილებზე საინოვაციო ცენტრები ჩამოყალიბდება. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მხარეებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების უფრო ფართოდ გავრცელებისთვის, შესაბამისად, ზოგადად განათლებისა და პროფესიული ცოდნის დონის საგრძნობლად ამაღლებისთვის. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ეგრეთ წოდებული „მცირე ლაბორატორიების“ მოწყობა, სადაც სოფლის მოსახლეობას თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა, გარკვეული პროფესიების დაუფლების საშუალებაც კი ექნება.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის **ირაკლი ქაშიბაძის თქმით,** აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საბოლოო ანგარიშით, პროექტის განხორციელება **ადგილებზე ელექტრონული კომერციის დანერგვა-განვითარების შესაძლებლობას შექმნის, რისი წყალობით სოფლის მოსახლეობას საკუთარი პროდუქციის გაყიდვა როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე ყოველგვარი საშუამავლო რგოლის გვერდის ავლით პირდაპირ შეეძლება.**

ინტერნეტიზაციის პროცესის გაფართოება-ინტენსიფიკაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება სოფლის მოსახლეობისთვის კომპიუტერების შესაძენი ვაუჩერების დარიგება.

— უახლოეს სამ წელიწადში და, ცხადია, შემდგომაც, დაგეგმილია ინტერნეტის მოხმარების მოთხოვნის სტიმულირება, რაც მოსახლეობისთვის შესაბამისი ვაუჩერების დარიგებით განხორციელდება, — განაცხადეს ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. — პირველ ეტაპზე, გარკვეულ სოციალურ პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო მოსახლეობას ამ პროდუქტის შესაძენ ვაუჩერებს დაურიგებს.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრის **კახი ბექაურის** თქმით, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 40 მილიონი დოლარის სესხიდან, ვაუჩერიზაციის სისტემისთვის 9 მილიონი დოლარია განკუთვნილი.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის თანხის ნაწილი ასევე მოხმარდება მხარეებში ინოვაციური ცენტრებისა და ტექნოპარკების მოწყობას, რაც ინტერნეტიზაციის პროცესის წინსვლისთვის უდავოდ დიდი ბიძგის მიმცემი იქნება.

ამას ასევე დიდად უნდა შეუწყოს ხელი განათლების სამინისტროს მიერ სოფლის სკოლების კომპიუტერიზაციის პროცესის გაფართოებამ, რაც, უწინარესად, მოსწავლეთა გაჯეტებით უზრუნველყოფით გამოიხატება.

დალი ხუნდაძე

„ღამის სერენადები - ყველაზე ახლოს აფხაზეთთან“

ანაკლიის ციხესიმაგრეში მსოფლიოში ცნობილი მევიოლინის და დირიჟორის ლიანა ისაკაძის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალმა „ღამის სერენადები“ ანშლაგით ჩაიარა.

ანაკლიაში კლასიკური მუსიკის შედევრები ლიანა ისაკაძემ, მსოფლიო კამერულმა ანსამბლმა „ვირტუოზებმა“ და ცეზარ ალვარესმა შეასრულეს.

„ღამის სერენადები“ 1982 წელს ლიანა ისაკაძის ინიციატივით აფხაზეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში დაარსდა. ფესტივალი აღდგენის შემდეგ, წელს პირველად აფხაზეთთან ყველაზე ახლოს გაიმართა. მისი სლოგანიც შესაბამისია – „ღამის სერენადები – ყველაზე ახლოს აფხაზეთთან“.

ღამის სერენადები ანაკლიაში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა. საღამოს დასრულების შემდეგ მხარის გუბერნატორმა განაცხადა, რომ ანაკლიაში „ღამის სერენადები“ ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და ის ყოველწლიურად ჩატარდება.

დიდი მეცნიერის განახლებული სახლ-მუზეუმი რამდენიმე დღეში მიიღებს სტუმრებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 87 027 ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მუზეუმთან მისასვლელი ასფალტის საფარიანი გზა დაიგო, მოეწყო ტროტუარი და მოწესრიგდა მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია. ამ ეტაპზე ტროტუარისა და გვერდულების ბეტონის დეკორატიული ფილებით მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ეკოქალაქი აშენდება

საპარტნიორო ფონდთან პარტნიორობით „ჯინო გრინ სითი კორპორაცია“ „ჯინო გრინ სითის“ მშენებლობას იწყებს. პროექტი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე რეკრიაციული ინფრასტრუქტურის, სასტუმროების, გასართობი, სავაჭრო და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას გულისხმობს.

პროექტის განსახორციელებლად, საპარტნიორო ფონდსა და „ჯინო გრინ სითი კორპორაციას“ შორის პარტნიორთა შეთანხმებას ხელი უკვე მოეწერა.

საპარტნიორო ფონდის ცნობით, პარტნიორთა შეთანხმების ფარგლებში, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ევროპაში პირველი, თანამედროვე ტიპის ეკოქალაქი – „თბილისი ეკო გრინ სითი“ აშენდება. საინვესტიციო გეგმებში შედის ასევე გასართობი და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის განვითარება.

თბილისის მერიამ საპარტნიორო ფონდს 261 ჰა მიწის ფართობი გადასცა, რომელიც ეტაპობრივად გადაეცემა „ ჯინო გრინ სითის“ შესრულებული საინვესტიციო დაპირების შესაბამისად. ინვესტორის მიერ ამ ტერიტორიაზე საჯარო ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ, რაც მოიცავს გზებს, საბავშვო ბაღებს, სკოლებს, საავადმყოფოს და ა.შ. 83 ჰა მიწის ფართი ქალაქის მფლობელობაში იქნება.

„ჯინო გრინ სითი კორპორაცია“ სლოვაკურმა კომპანია „ჯინო ინვესტმა“ დააფუძნა. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 700 მლნ აშშ დოლარია. პროექტის დაფინანსებაში ჩართვას სლოვაკეთის ექსპორტის ფინანსირების ბანკიც გეგმავს.

ლაგოდეხის ნაკრძალში უცნაურრქებიანი შველი იპოვეს

მამრი შველი უცნაური რქებით ფოტომახემ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე დააფიქსირა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს. როგორც ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში განმარტავენ, რქების არასტანდარტული განვითარების მიზეზი პარაზიტებია და შველი ასეთი რქებით ბუნებაში ძალიან იშვიათია.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ფოტომახეების მეშვეობით მიმდინარეობს. ფოტომახეების დახმარებით შესაძლებელია გარეული ცხოველების დისტანციურად გადაღება, მათი რიცხოვნობის დადგენა, დღეღამური და სეზონური აქტივობის დაფიქსირება და ა.შ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„ჭკუის მომმატებელი“... კვერცხები

იაპონელ მეცნიერთა განცხადებით, თავის ტვინის საუკეთესო სტიმულატორი მწყრის კვერცხი ყოფილა.

ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ მწყრის კვერცხი სკოლის მოსწავლეთა გონებრივ პოტენციალს საგრძნობლად ამაღლებს. ამიტომ ისინი მათ მეცადინეობის დაწყებამდე სულ ცოტა ორი მწყრის კვერცხის ჭამის რჩევას აძლევენ.

ამასთან აღნიშნავენ იმასაც, რომ მონაცემები იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს მწყრის კვერცხები ზრდასრულ ადამიანებზე, ჯერჯერობით არ გაჩნიათ.



ამირან ერაძის ნახატი

რასაც მომავალი დედა მიირთმევს...

თურმე ბოსტნეულისა და ხილის სიყვარული ... მემკვიდრეობით გადადის.

თუკი მომავალი დედა, ფეხმძიმობის პერიოდში ხილსა და ბოსტნეულს ხშირად მიირთმევს, მისი პირმშო მომავალში ასევე „ხილის დიეტის“ ტრფიალი გაიზრდება.

აღმოჩნდა, რომ ბოსტნეულისა და ხილის გემო ბავშვს იმ სითხიდან გადაეცემა, რომელშიც ნაყოფი იმყოფება, ასევე დედის რძიდან, ამდენად ის მთელი ცხოვრების მანძილზე მისთვის განსაკუთრებულად გემრიელია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.305; ევრო - 2.576;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.019;
100 რუბლი - 3.553; თურქული ლირა - 0.780;
აზერბაიჯანული მანათი - 1.388;
1000 სომხური დრამი - 4.858.

ამინდი 1 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +18,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +28
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +28
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +25
თბილისი:	ღამე +22,	დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE